

მასკარადი

ოთხმოქმედებიანი დრამა ლექსად

მოქმედი პირნი

არბენინი, ეგგენი ალექსანდროვიჩი
ნინა, მისი ცოლი
თავადი ზვეზდიჩი
ბარონესა შტრალი
კაზარინი, ათანას პავლოვიჩი
შპრიხი, ადამ პეტროვიჩი
ნილაბი
მოხელე
ქალაქის მოთამაშენი
სტუმრები
მსახური ქალები და კაცები

მოქმედება პირველი

სცენა პირველი

ბამოსვლა პირველი

მოთამაშენი, თავადი ზვეზდიჩი, კაზარინი და შპრიხი.

(მაგიდასთან სხედან და ქალაქს თამაშობენ.
ირგვლივ დგანან მაცქერალნი)

პირველი მოთამაშე

ივან ილიჩ! მეც ჩამოვალ, მომეცით ნება...

მებანკე

ინებეთ.

პირველი მოთამაშე

ასი

მებანკე

თანახმა ვარ...

მეორე მოთამაშე

გზა მშვიდობისა...

მესამე მოთამაშე

თქვენ გჭირდებოდათ ახლა ბედის შემობრუნება,
სემპელები კი ნიშანია უბედობისა.

მეოთხე მოთამაშე

ჰო, სჯობდა თანხის გაორკეცება.

მესამე მოთამაშე

გამიშვიო...

მეორე მოთამაშე

ო, მთლად? მერე პირი რომ დაგეწვებათ?

მეოთხე მოთამაშე

ჩვენს დროში, ძმაო, ვინც ორკეცად არ იღუნება,
ის რას მიაღწევს, ღმერთს ამაოდ დაემღურება!

მესამე მოთამაშე (ჩურჩულით პირველს)

კარგად უცქირე.

თავადი

თქვენი ბანკი!

მეორე მოთამაშე

რა მოგივიდათ?

ბრაზი სისხლს წამლავს, ითამაშეთ, თავადო, მშვიდად.

თავადი

გთხოვთ თქვენი რჩევა ახლა მაინც არ გამაჯაროთ...

მებანკე

ჩაიწვია!..

თავადი

ეშმაკს წაუღია...

მებანკე

გთხოვთ ჩამაბაროთ.

მეორე მოთამაშე (დამცინავად)

ვხედავ, თავადო, რადგან ცხარობთ გადამეტებით,
აქ ტყავს ჩასტოვებთ... რა ღირს თქვენი ეპოლეტები?

თავადი

ეს ეპოლეტნი მე ღირსებით მაქვს მიღებული —
თქვენ შეიძინოთ, ასე მდიდრად არ მეგულებით.

მეორე მოთამაშე (კბილებიდან გამოსცრა)

თქვენ ახლა გიჯობთ იყოთ უფრო მორიდებული...
ასე ყმაწვილი... ასე დიდი უბედურებით... (მიდის)

(თავადმა ლიმონათით საესე ჭიქა დაცალა, განცალკევებით ჩამოჭდა:
დაფიქრებულია.)

შპრიხი (თანაგრძნობით)

თავადო! იქნებ ფული გნებაეთ... ნუ დაღონდებით...
პროცენტი მცირე... ას წელიწადს დაველოდები.

(თავადი ცივად თავს დაუკრავს და ზურგს შეაქცევს. შპრიხი
უკმაყოფილოდ მიდის.)

ბამოსვლა მეორე

არბენინი და სხვები.

(შემოდის არბენინი, მაგიდასთან მსხდომ მოთამაშეებს მიესალმება,
შემდეგ კაზარინს ანიშნებს და მასთან ერთად განცალკევდება.)

არბენინი

რად არ თამაშობ... ა... კაზარინ?

კაზარინი

სხვის თამაშს ვუქცერ...

შენ კი, ძმობილო, დაქორწინდი, გამდიდრდი უცებ...
ბატონი გახდი... ჩვენთან ყოფნა არ გიხარია.

არბენინი

მართლაც... აქ თქვენთან არ ვყოფილვარ დიდი ხანია.

კაზარინი

საქმე არ გიშვებს?

არბენინი

არა, ტრფობა.

კაზარინი

ესწრები ბალებს,
და ცოლთან ერთად იქ ატარებ დროს უნეტარესს.

არბენინი

აგრე არ არის.

კაზარინი

არც თამაშობ?

არბენინი

არა, დავწყნარდი.

აქ ახლებს ვხედავ... ვინ იქნება ნეტავ ის ფრანტი?

კაზარინი

ადამ პეტროვიჩი! ეს შპრიხია... გაგაცნობ ახლავ.

(შპრიხი მივა და მათ მიესალმება.)

გირდგენთ: არბენინ... იგი ჩემი ძმაკაცი გახლავთ.

შპრიხი

თქვენ უკვე გიცნობთ.

არბენინი

მე კი კარგად ვერ მოვისაზრე...

მგონი თქვენ არსად შემხვედრიხართ.

შპრიხი

თქვენს ცხოვრებაზე

ჩემთვის იმდენი უამბიათ... არ ითქმის ენით.
დიდი ხანია მე მინდოდა გაცნობა თქვენი.

არბენინი

ზრა ვიცი რა თქვენ შესახებ მე ანაგებად.

ალბათ, თქვენგანვე მომიხდება ბევრის გაგება.

(შპრიხი სახის უსიამოვნო მანკვით მათ თავს დაუკრავს და მიდის.)

რალაც არ მომწონს... მე მინახავს ბევრი ცხვირ-პირი,
მაგრამ ასეთის ძნელი არის გამოგონება.
ღიმი ბოროტი, და თვალები კი მინის ფერი...
იგი კაცს არ ჰგავს, და ეშმაკიც არ გეგონება.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ეჰ, ძმაო, რაა გარეგნული შეხედულება...
როცა ჯიბეში ერთი გროშიც არ გეგულება,
მხოლოდ ანიშნე — ეს ეშმაკი კაცად იქცევა...
ხელს გაგიმართავს, იცის კაცის პატივისცემა,
ყველა ენაზე ლაპარაკობს. სადაურია
სწორედ არ ვიცი, უნდა იყოს მგონი ურია.
ყველგან საქმე აქვს, ყველას იცნობს, იცის ყოველი.
ხსოვნაც კარგი აქვს... სულ ფუსფუსებს დაუცხრომელი.
არ მოისვენებს, საქმეს ჩასდევს ღდინში, ბოლომდი.
ჩვენ შორის არის მოთამაშე მეტად ბოროტი.
თუმც ბევრჯერ სცემეს, მოიხადა ისე ვით სურდო,
ფარისეველთან — ეზუიტი, უღმრთოსთან — უღმრთო
და პატიოსან კაცთან — სავესე პატიოსნებით.
შენც მოიწონებ და ამაში დამემოწმებ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

კარგად დახატე — თუმც დედანი ცუდია მეტად.
ის, დიდულვაშა და მაღალი, ვინ არის ნეტავ?
სახე ისე აქვს შეღებილი, ჩანს, მუდმივ ბინად
ახალი მოდის სავაჭრონი მან გაიჩინა.
გახუნებული აშიკია... უცხო ქვეყანაც
შემოვლილი აქვს... სიტყვით გმირი, მაგრამ მკვებარა...
ხომ ოსტატია?... ტყვიის ჩასმა მიზანში იცის?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

თითქმის, პოლკიდან გააძევეს ის დუელისთვის,
თუ იმისათვის, რომ დუელი ვერ გაუბედავს...
კაცს ვერ მოვკლავო — თან სასტიკი ჰყოლია დედაც...
ხუთი წლის შემდეგ გაიწვიეს დუელში მანც,
და უბრძოლია ისე ვით რაინდს.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ის ვინლა არის, მომცრო, ჯვარი რომ უშოვნია,
ღიმიკადნიერი, თმაგაშლილი?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ის ტრუშჩოვია.
ო, ვერ ავიწერთ იმ ყმაწვილის მშვენიერებას.
საქართველოში შვიდ წელიწადს მან იმსახურა,
თუ იქ ხლებია რომელიღაც ერთ ჩვენს გენერალს.
ვიღაც მოუკლავს სიბნელეში იქ ყაჩაღურად...
ხუთ წელს ყოფილა ვით პატიმარი,
და მერე გულზე დაჰკიდეს ჯვარი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ოჰ... ხალხის ცნობა გისწავლია... შენს ალლოს ვაქებ.

მ ო თ ა მ ა შ ე ნ ი (ყვირიან)

აქეთ! კაზარინ, გთხოვთ, ათანას პავლოვიჩ, აქეთ!

კ ა ზ ა რ ი ნ ი (მოჩვენებითი თანაგრძნობით)

არ გიმუნთლებდი ასე მკაცრად... მაგრამ მელიან...
ჰა... ჰა... ჰა... მოვალ...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო თ ა მ ა შ ე

ჩქარა...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

დიდი განსაცდელია?

(მოთამაშენი გაცხარებულნი დაობენ. შემდეგ თანდათან წყნარდებიან.
არბენინმა ზეზღიჩი შენიშნა, მიუახლოვდა.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენც აქ, თავადო? იმედია პირველადა ხართ...

თ ა ვ ა დ ი (უსიამოვნოდ)

ამავე კითხვით მსურდა თქვენთვის თვით მომემართა.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მაშ თქვენ დაგასწრებთ: კარგად ვიცნობ აქაურობას..
დიდი ხანია ჩვეული ვარ მე აქ სტუმრობას.
ფარული ღელვით ვჭვრეტდი ბრუნვას ბედის ჩარხისას —
მან ბევრი ცამდე აამალა, ბევრიც გასრისა...
არავის მშურდა, არც ვიცოდი მე თანაგრძნობა.
ო, აქ მინახავს ბევრჯერ ჩვენი ახალგაზრდობა,
ჯერ ვერ შეეცნოთ სიმუხთლენი ცხოვრებისანი,
ჯერ მათთვის მხოლოდ სიყვარული იყო მიზანი...
ცეცხლოვან სულით, მგზნებარებით და იმედებით,
შემოდოდნენ უმეცრებით ბედნიერები...
იღუბებოდნენ აქ ჩემ თვალწინ ისინი მყისვე,
ღღესაც მომიხდა ბედის ტრიალს ვუცქირო ისევ.

თ ა ვ ა დ ი

(ხელი ხელში მღვევარედ ჩასვიდა)

ეჰ... მე წავაგე.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვგრძნობ... თავს იხრჩობთ? რა მოხდა მერე?

თ ა ვ ა დ ი

ლამის გავგიჟდე...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

გზა ორია, თუ დამიჯერებთ...

ან ფიცი დადოთ, რომ არასდროს არ ითამაშებთ,
ან სათამაშოდ ახლავე დაჯდეთ.
და თუ გადაწყვეტთ თამაშობდეთ მუდამ მოგებით,
დაგმეთ ოჯახი, სინიღისი და მეგობრები.

ჯერ მიუდგომლად გამოცადეთ და შეიგრძენით
ყოველი მხრიდან თქვენი სული და ნიჭი თქვენი.
უნდა გაიწვრთნათ და შეიძლოთ წაკითხვა ცხადად,
თუ რა სურვილი, ან რა ფიქრი წამს დაეხატა
თუნდ უცნობ სახეს. დაგჭირდებათ მრავალი წელი,
რომ შეაჩვიოთ სიმარდეს ხელი.

გძაგდეთ კანონი ბუნებისა, კანონი კაცთა,
ღღისით ფიქრობდეთ, ღამით გღლიდეთ თამაშის განცდა.
ტანჯვას წამითაც ვერ გაექცეთ, თან შემზარავი
თქვენი წამება არ იცოდეს ქვეყნად არავინ.
თქვენსავით გაქნილს სჯობს უკრთომლად რომ შეებრძოლოთ.
აქ ყოველ წუთში სასირცხვილო მოელის ბოლო
თქვენს გამარჯვებას... არც გაწითლდეთ, იყავით მზადა,
როცა გიწოდონ თქვენ „არამზადა“!

(ღუმლი, თავადს არბენინის სიტყვები არცთუ ესმოდა, ისე ღელავდა.)

თ ა ვ ა დ ი

როგორ მოვიქცე? აღარ ვიცი რა მეშველება...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მაინც რა გინდათ?

თ ა ვ ა დ ი

შესაძლოა ბედნიერება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მას აქ ვერ ნახავთ — ეს ბუღეა ბოროტებათა.

თ ა ვ ა დ ი

მირჩიეთ რამე, მთლად წავაგე რაც კი მებადა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვერაფერს გირჩევთ...

თ ა ვ ა დ ი

მაშ დავჯდები... ვსინჯავ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(ხელში ხელს ჩაავლებს)

მაცალეთ...

მე ვითამაშებ თქვენს მაგივრად... მეც სიყმაწვილე
გამომივლია... მეც თქვენსავით ვიყავ უწვრთნელი,
თქვენსავით ჩქარი, ქედმაღალი, გამოუცდელი...
ეჰ... გამჩენოდა მაშინ ვინმე გზის მჩვენებელი...
(ჩაფიქრდა) იქნებ... (დაჟინებით დააქკერდა თავადს. კილო
იცვალა.)

დამლოცეთ... გაბედულად მომეცით ხელი...
სხვა ჩემზე იყოს! (მაგიდასთან მიდის, მას ადგილს უთმობენ.)
გთხოვთ მიმიღოთ მეც, ინვალიდი.
მინდა ბედს ვკითხო ჩემი ამინდი...
ვნახოთ თუ ახალ პატივისმცემლებს
ბედი ძველ მონას შეარცხვენინებს.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ვეღარ გაუძლო... აღეგზნო ისევ,

(არბენის ჩუმად)

აბა, არ შერცხვე და დაუმტკიცე,
რას მოასწავებს გადააწყდე ძველ მოთამაშეს...

მ ო თ ა მ ა შ ე ნ ი

ინებეთ, თქვენ ხართ მასპინძელი, ჩვენ კი — სტუმრები...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო თ ა მ ა შ ე (მეორეს ყურში)

კარგად უცქირე... მასთან თამაშს ნუ ეხუმრები...
ამ ვანკა-კაენს მე ვერ ვიტან, ჩვენს წრეში რომ ზის,
შესაძლო არის წაახდინოს მან ჩემი ტუზიც.

(იწყება თამაში. ყველანი მაგიდის გარშემო შემოიკრიბებიან. ხანდახან

ისმის სხვადასხვა ამოძახილი. ზვერი დაღონებული შორდება მაგიდას:
(შპრის ავანსცენაზე გაჰყავს კაზარინი.)

შ პ რ ი ხ ი (ცბიერად)

შეგუფდნენ... თითქოს აი, მეხიცი დაეხეთქებათ...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ერთ თვეს ეყოფათ, იმნაირი მისცეს ფეთება!

შ პ რ ი ხ ი

ჩანს, ოსტატია.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

იყო.

შ პ რ ი ხ ი

ახლა?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ო, ბედს ეწია.

ცოლი შეირთო, მდიდარია, დარბაისელი.
თითქოს კრავად ჩანს, მაგრამ მაინც იგივე მხეცია...
მართალი გითხრათ — რეგენია იმისი მთქმელი, —
ვითომ შეძლებსო კაცი ისევ შემობრუნებას,
და სამუდამოდ გამოიცვლის თავის ბუნებას.
თუნდ ანგელოზად ის დაგვენახოს,
მაინც მის სულში ეშმაკი სახლობს.
და შენც, ძმობილო, (მხარზე ხელს დაჰკრავს) თუმც ბალღი
ხარ ჯერ იმის წინა,

სულში ეშმაკი გყავს პაწაწინა.

(საუბრით გართული ორი მოთამაშე მოდის.)

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო თ ა მ ა შ ე

მე ხომ ვამბობდი...

მეორე მოთამაშე

ან რა მექნა იმაზე მეტი...
თუმც ვიეშმაკე, არ დაეკელ გამოცდილება...
სეტყვას ქვა დახვდა... ყველას ერთად დაგვასხა რეტი...
მართალი გითხრათ, მესირცხვილება.

კახარინი (მათთან მივიდა)

აჰ... ვერ დასძალეთ?

პირველი მოთამაშე

ის ოსტატია.

კახარინი

ეჰ, ბატონებო! რა დაგმართნიათ...

(მაგიდასთან მოთამაშეთა შორის დიდი მღელვარებაა.)

მესამე მოთამაშე

ისეთს გაბედავს... ასი ათასს არ აგდებს გროშად.

მეოთხე მოთამაშე

ახლა დაიწვის...

მეხუთე მოთამაშე

ჰო, ვნახოთ.

არბენინი (დგება)

მორჩა!

(ოქროები აკრიბა და მაგიდას მოშორდა. სხვები მაგიდასთან რჩებიან; კახარინი და შპრიხიცი მათ შორის. არბენინი მღუმარედ ხელს ჩასკიდებს თავადს და ფულს გადასცემს. არბენინი გაფითრებულია.)

თავადი

ვერ დაგივიწყებთ... ჩემს დამხსნელად თქვენ მეგულებით...
გადამირჩინეთ დღეს სიცოცხლე...

არბენინი

მასთან ფულებიც...

(მწარედ)

თუმცა ძნელია გადავწყვიტოთ, რა სჯობს ამ ორში.

თავადი

ჩემთვის გაიღეთ დიდი მსხვერპლი...

არბენინი

არავითარი.

ამ მღელვარებით აჩქროლება სისხლისა შეეძელ.
დღეს შემთხვევა მაქვს მშფოთვარებით ვიყო მდიდარი...
თამაშს ჩავუჯექ, ვით გაღიხართ თქვენ ბრძოლის ველზე.

თავადი

ხომ შეიძლება თქვენ წაგეგოთ?

არბენინი

ოჰ... არა... უკვე

ის დრო ნეტარი გაჰყოლია ჩემს სიჭაბუკეს.
ვჭვრეტ ისე ნათლად... ყველა ხერხი გამოვიცანი...
სწორედ ამიტომ არ ვთამაშობ — არ აქვს მიზანი.

თავადი

თქვენ გაურბინართ ჩემს მაღლობას...

არბენინი

ო, მას ვერ ვიტან...

მართალი გითხრათ, მე არ მახსოვს ამ ცხოვრებიდან,
ვინმესგან რამით ვყოფილიყავ დავალებული,
და თუ სიკეთე ჩემგან ვინმეს აქვს მიღებული,

არც მიფიქრია ვჩანდე სათნო აღამიანად...
არა, უბრალოდ — ამას ვთვლიდი მომგებიანად.

თ ა ვ ა დ ი

ვერ დაგიჯერებთ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს ირწმუნოთ, ვინ შეგთავაზათ?
დიდი ხანია შევეჩვიე უკვე ამასაც.
ვითვალთმაქცებდი, მაგრამ არ მინდა...
ჯობს გავათავოთ საუბარი, (ჩაფიქრების შემდეგ) ახლა
საერთოდ

უქმეებია, ჩვენც არ გვაწყენს ცოტა გავერთოთ,
დღეს ენგელგარტთან მასკარადია.

თ ა ვ ა დ ი

ოჰო!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

წავიდეთ?

თ ა ვ ა დ ი

ვოცნებობდი სწორედ ამაზე.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (განზე)

იქ დავისვენებ.

თ ა ვ ა დ ი

თანაც ვნახავთ ქალებს... ლამაზებს...
ამბობენ თითქოს მასკარადში ზოგჯერ დადიან...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჩვენ ეს რად გვიინდა... დე იუბედონ, თუ აქეთ ხალისი.
თანაბარია ნიღაბის ქვეშ ყველა ხარისხი.

ნიღაბს არა აქვს არც წოდება და არცა სული...
არის სხეული... და თუმც სახე აქვს დაფარული,
სამაგიეროდ გრძნობებია თავაშვებული.

(გადიან.)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ს ა მ ი

იგინივე, გარდა არბენინის და თავად ზეზდიჩისა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო თ ა მ ა შ ე

კარგია თამაშს გაეფიცა... ძნელია მასთან.

მ ე ო რ ე მ ო თ ა მ ა შ ე

არ დაგვაცალა გონზე მოსვლა... კვლავ დაგვამარცხა.

მ ს ა ხ უ რ ი (შემოდის)

ვახშამი მზად გვაქვს.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი

მაშ წავიდეთ და მოვილხინოთ...
იქ, წაგებულებს გვანუგეშებს შამპანის ღვინო.

(გადიან.)

შ პ რ ი ხ ი (მარტო)

დაახლოება არბენინთან მინდა ძალიან...
უფასო ვახშმის დატოვებაც დასანანი.

(თითს შუბლთან მიიტანს.)

ჯობს აქ ვივახშმო... ხალხს დავცინცლოვ ამბებს, ხვაშიადს,
მერე მივუსწრებ მე არბენინს მასკარადშიაც.

(მიდის და თავისთვის ბუტბუტებს.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ მ ე ლ ი

ნიღბები, არბენინი, შემდეგ თავადი ზვეზდიჩი.

(სცენაზე მიდი-მოდიან, მარცხნივ დგას კანაპე.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (შემოდის)

თავდავიწყებას ტყუილად ვეძებ... აქ ბზუის ყველა და ჩემ წინ ხალხი მოკაზმული ირევა ჭრელად. გონებას სძინავს, გულს გაყინულს სიამე ელტვის... მე აქ უცხო ვარ, და ეს ხალხიც უცხოა ჩემთვის.

(თავადი მოქნარებით უახლოვდება.)

ჰა ეს თაობაც... შევეყურებ დარდით... განა ყმაწვილი მეც ამათ ვგავდი?... რაო, თავადო, რას დაეძებ ნელი ტატიით, ვერაფერს შეხვდი?

თ ა ვ ა დ ი

ვერა, გადის მთელი საათი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მაშ, ფიქრობთ ბედი აქეთ თვითონ გადაგეყრებათ? კარგი აზრია, ღირს ამისი გამოქვეყნება.

თ ა ვ ა დ ი

ყველა ნიღაბი სულელია...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა, სულელი

სულაც არ არის. დუმს ნიღაბი იდუმალეებით. ხმას გაიღებს და... ისე ტკბილსა, რომ სასურველი ხმას შეგიძლიათ მიაწეროთ სახე, თვალები. ჰა, მაგალითად, იქ შეხედეთ თურქის ქალს მაღალს, ვით განირჩევა სინატიფით, ან როგორ ლაღად

სუნთქავს, ერხევა მკერდი სავსე და ვნებიანი, თქვენ ხომ არ იცით იგი ვინ არი?

იქნებ ამაყი, სახე ნიღბით შემოგარსული გრაფის ქალია, ან თავადის ტურფა ასული, დიანა ხალხში, მასკარადში ლალი ვენერა, და შესაძლოა სწორედ იგი მშვენიერება, ისე, ცოტა ხნით თქვენ გესტუმროთ ხვალვე საღამოს და მან ორსავე შემთხვევაში არ გაზარალოთ.

(გადის.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე მ ო რ ა

(თავადი და ქალი ნიღბით. ერთი დომინო თავადის მახლობლად შეჩერდა. თავადი ჩაფიქრებულია.)

თ ა ვ ა დ ი

რომ ეს ასეა, ადვილია მხოლოდ სათქმელად. ჯერ არ გამომდის... აგერ, ვილაც მოემართება... დმერთო, მომხედე...

(დომინო ხალხს გამოეყო, თავადს მხარზე ხელი დაჰკრა.)

ნ ი ლ ა ბ ი

მე შენ გიცნობ.

თ ა ვ ა დ ი

ჩანს ძალზე ახლოს.

ნ ი ლ ა ბ ი

მე შემიძლია შენი ფიქრიც კი დავინახო.

თ ა ვ ა დ ი

ამ შემთხვევაში ჩემზე უფრო ხარ იღბლიანი.

(ცდილობს ნიღაბქვეშ შეიხედოს.)

ვგონებ ტუჩები გაქვს პატარა, სანდომიანი.

ნ ი ლ ა ბ ი

იქნება მართლა მოგეწონე, მით უარესი...

თ ა ვ ა დ ი

ვისთვის?

ნ ი ლ ა ბ ი

ჩვენ ორში ერთისათვის.

თ ა ვ ა დ ი

რატომ? არ მესმის...

აგ ბედს მიქადი, მაგრამ გული არ შემიდრკება,
და ეშმაკობა თუმც მქმნელება,
მაინც შეგიცნობ...

ნ ი ლ ა ბ ი

იქნებ შენთვის ნათელი არი
რით დამთავრდება ეს საუბარი?

თ ა ვ ა დ ი

ვილაპარაკებთ და გავშორდებით.

ნ ი ლ ა ბ ი

მართლა?

თ ა ვ ა დ ი

შენ მარჯვნივ, მე კიდევ მარცხნივ.

ნ ი ლ ა ბ ი

მაგრამ თუ განზრახ აქ მოვსულვარ იმ მიზნით უფრო,
რომ შენ გახილო და გესაუბრო...

თუ მასაც გეტყვი, ჩემ წინაშე შენ დაიფიცებ,
ო, ძლიერ ჩქარა, რომ არასდროს არ დამივიწყებ,

რომ მზად ხარ დათმო თვით სიცოცხლე დაუნანებლად,
როცა დაგტოვებ უსახელო, როგორც ზმანება,
ოლონდ იმედის გამომსახავი
ერთხელ წამომცდეს სიტყვა „ნახვამდის“!..

თ ა ვ ა დ ი

ბრძენო ნილაბო, ბევრს ლაპარაკობ.
თუ მიცნობ, ვინ ვარ? მითხარი, კარგო.

ნ ი ლ ა ბ ი

უხასიათო, თავმოყვარე და ცუდზნინანი,
ბოროტი, უღმრთო, მაგრამ სუსტი ადამიანი.
მხოლოდ შენშია, ვით სარკეში გამოხატული,
ამ საუკუნის ბრწყინვალეობა ფუქსავატური.
თუმც სიცოცხლე გსურს მთლად შეიგრძნო, გაურბი ვნებას,
არაფერს სწირავ, ყველაფერი კი შენთვის გნებავს.
უთავმოყვარო და უგულო ხალხი გქულს მაშინ,
როცა ამ ხალხის ხარ სათამაშო.
ო, მე შენ გიცნობ...

თ ა ვ ა დ ი

ძალზე მომწონს ასეთი ქება.

ნ ი ლ ა ბ ი

ცოდვაც ბევრი გაქვს.

თ ა ვ ა დ ი

უნებლიე, ეგ შეიძლება.

ნ ი ლ ა ბ ი

ეჰ, ვინ რა იცის... მე გავიგე ყველაზე ადრე.
ჯობს ქალისათვის, არ შეუყვარდე.

თ ა ვ ა დ ი

მე მას არ ვეძებ.

ნ ი ლ ა ბ ი

ძიებისათვის სად გაქვს უნარი!

თ ა ვ ა დ ი

ძებნამ დამქანცა...

ნ ი ლ ა ბ ი

ვთქვათ, უეცრად ნაზი სტუმარი
შენ მოგვევლინა... ჩემი ხარო, მოგმართა ასე,
ნუთუ შენ ისე გულგრილი ხარ, ვერც დააფასებ?

თ ა ვ ა დ ი

მაგრამ ვინ არის? ეს იქნება ალბათ ოცნება.

ნ ი ლ ა ბ ი

არა... ქალია... თქვი, რას იზამ? მსურს შემოწმება.

თ ა ვ ა დ ი

ჩემთან მოვიდეს... მოკრძალება არავითარი.

ნ ი ლ ა ბ ი

შენ ბევრი გნებავს... დაუფიქრდი, თუ რა მითხარი!

(სიჩუმის შემდეგ)

არცა სიტყვანი მგზნებარენი, არცა მუდარა,
არც აღსარება, იმ ქალს შენგან არა უნდა რა.
მხოლოდ აქ ფიცით ერთი რამე დაგვევალება.
შენ არ ეცდები გამოიცილო იღუმალება
თუ ის ვინ არის... ამ ამბავსაც არ იტყვი არსად.

თ ა ვ ა დ ი

ვფიცავ სინილისს, მიწას და ცასა.

ნ ი ლ ა ბ ი

მაშ ფრთხილად იყავ, შენ ის ქალი წინ გაგიძღვება.
მაგრამ გახსოვდეს... აქ ხუმრობა არ შეიძლება.

(მიდიან ხელიხელგაყრილნი.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ს ა მ ე

არბენინი და ორი ნილაბი

(არბენინი ხელით ეწევა ნილაბიან მამაკაცს.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენ აქ ისეთი რამ მიამბეთ, ჩემი ღირსება,
არა, ბატონო... ასეთ ამბებს ვერ ეთვისება.
ო, ვერ ავიტან... ვერც წამიხვალთ დაუკითხავი...
იცით მე ვინ ვარ?..

ნ ი ლ ა ბ ი

ღიახ... ვიცი თქვენ ვინც იყავით.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ახლავ ნილაბი ჩამოიხსენით!
საძრახისია მოქცევა თქვენი.

ნ ი ლ ა ბ ი

რა საჭიროა, უცნობია თქვენთვის ეს სახე,
ვით ეს ნილაბი. თქვენ პირველად დღეს დაგინახეთ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რალაც არ მჯერა... ისე მიფრთხილეთ... ახლა საჯაროდ
აქ აყალმაყალს ვერიდები... გასწი! ლაჩარო!

ნ ი ლ ა ბ ი

მშვიდობით... ფრთხილად! ვიცი თქვენკენ მოეშურება
და ამაღამვე შეგემთხვევათ უბედურება.

(ხალხში მიიმალება.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

შესდექით! გაქრა... ის ვინ იყო? ეს საფიქრალიც
ღმერთმა შემმატა. ალბათ ვინმე მტერია მხდალი.
მერე ჩემდამი რამდენსა აქვს უინი მტრობისა...
ჰა... ჰა... ჰა... კარგო მეგობარო! გზა მშვიდობისა...

ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ი

შპრიხი და არბენინი.

(გამოჩნდება შპრიხი. კანაპეში ზის ორი ნიღბიანი ქალი; მათ ვიღაც
უახლოვდება და სააშიკოდ გამოიწვევს. ხელში ხელს ჩაჰკიდებს; ერთდ
მათგანი ხელიდან გაუსხლტება და მიდის. სამაჯური შეუმჩნევლად და-
უფარდება.)

შ პ რ ი ხ ი

ასე უწყალოდ თქვენ, ეგგენი ალექსანდროვიჩ,
ვის მოათრევდით?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო, ვეხუმრე, ისე, მეგობარს.

შ პ რ ი ხ ი

ღიას, ეხუმრეთ სხვანაირად... ჩხუბი მეგონა,
მიდიოდა და გაგინებდათ გულჯაერიანად.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სად?

228

შ პ რ ი ხ ი

ერთ ნიღბთან.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენ სმენა გაქვთ სახარბილო.

შ პ რ ი ხ ი

თუმც ქვეყანაზე ყველაფერი მშვენივრად მესმის,
სხვის საქმეებში არ ვერევი, ჩუმაღ ვარ ჩემთვის.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მჯერა... და მაინც იქნებ დაგრჩათ შეუცნობელი
ერთი ამბავი... ო, გრცხვენოდეთ...

შ პ რ ი ხ ი

რაო? რომელი?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა... ეს ისე, გავიხუმრე...

შ პ რ ი ხ ი

ვერ დაგიჯერებთ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თურმე ცოლი გყავთ მშვენიერი, კეკლუცი...

შ პ რ ი ხ ი

მერე?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (კილო იცვალა)

ის, შავულვაშა, თქვენს ოჯახში თუ დადის ახლაც?

(სტენით მიდის.)

შ პ რ ი ხ ი (მარტოა)

ენა გაგინძეს... მე დამცინე? შენს რქებსაც ვნახავ.

(ხალხს შეერია.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი მ ხ უ თ ი

პირველი ნილაბი, მარტო.

(პირველი ნილაბი აღელვებული შემორბის და კანაპეში ჩაეშვება.)

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ი ლ ა ბ ი

უკან სირბილით ამედევნა... ოჰ... სუნთქვა მიჭირს.
მას ხომ შეეძლო უცებ ჩემთვის ნილაბის ახსნა...
არა, ვერ მიცნობს, რა მიზეზით აიღოს ეჭვი
მასზე, ღირსებით ვინც ანცვიფრებს ბრწყინვალე ხალხსა,
შურით აღვსილსა... ვინ იფიქრებს, ეს ბანოვანი,
რომ ორი წუთით დაიამოს თვისი გრძნობანი,
თავდავიწყებით ვინმეს ყელზე დაეკიდება,
განა სიყვარულს, სიბრაალულს სთხოვს დაუბრუნებლად,
უტიფრად ეტყვის — შენი ვარო!.. ო, გერასოდეს
ამ საიდუმლოს ის ვერ ახსნის... ეს მიხარია...
მაგრამ მას უნდა რამე ნივთი ჩემგან ახსოვდეს...
ჩემი ბეჭედი? არა, ძალზე საშიშარია...

(ძირს დაგდებული სამაჯური შეამჩნია, აიღო.)

ღმერთო! ბედი მაქვს... საშაჯური ვის დაკარგვია?
ოქრო მინაწქრით... ვუსახსოვრებ... ო, ეს კარგია.
ამ ნივთის კვალზე დე მეძიოს...

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი მ ხ უ თ ი

პირველი ნილაბი და თავადი ზვეზდინი.

(ლორნეტის მამაკაცი აჩქარებით ხალხს გაარღვევს.)

თ ა ვ ა დ ი

ის არის, დიახ...

ათას ქალშიაც მას შევიცნობ აუცილებლად.

(კანაპეში გვერდით დაუჯდა და ხელი ხელში ჩაავლო.)

ველარ წამიხვალ...

ნ ი ლ ა ბ ი

ვინ გაგირბის, ვერ გამოვია...

რა გინდათ?

თ ა ვ ა დ ი

მინდა შენ გხედავდე.

ნ ი ლ ა ბ ი

ოჰ, მეცინება...

მე თქვენ წინა ვარ...

თ ა ვ ა დ ი

აქ ბოროტად ნუ მესუმრები...

შენ ხუმრობა გსურს, მე სხვა მინდა ახლა სრულებით.
ახლავ მიჩვენე ღვთაებრივი ეგ სილამაზე.
თორემ ცბიერულ ნილაბს შენსას, თუ გამაბრაზე,
ძალით ჩამოგვლეჯ...

ნ ი ლ ა ბ ი

ვერ მიცვნი მამაკაცები!..

რად მემღურებით? ხომ მიყვარხართ თქვენ გატაცებით...
ნუთუ არ კმარა... ყველაფერი ერთბაშად გინდათ,

ითხოვთ ვადმოგცეთ საგინებლად ღირსება წმინდა,
რომ ველარც ბალში, ველარც სხვაგან გავისეირნო,
გინდათ უამბოთ თქვენს მეგობრებს ეს სასეირო
ჩვენი შემთხვევა... თანაც ჩემზე მათ მიუთითოთ
და გესლიანად წასჩურობოთ — ჰა, ისიც თვითონ.

თ ა ვ ა დ ი

ხმით მაინც გიცნობ.

ნ ი ლ ა ბ ი

აი, სიბრძნე სწორედ ეს არი...
რამდენი ქალი ლაპარაკობს ამ ხმით, ჩემსავით.
ო, სიცილს როგორ დაგაყრიან... ო, სცადეთ წუთით...
როდი იქნება ეს თქვენთვის ცუდი.

თ ა ვ ა დ ი

ეს ნეტარება ნაკლულია...

ნ ი ლ ა ბ ი

მე თქვენთვის ვამბობ:
სწორედ იმიტომ, რომ ვერ მნახეთ მე უნილაბოდ;
იქნება თქვენგან ბედს მადლობა უფრო შეჰფერის...
ვინ იცის, ვიყო გონჯი, ბებერი...
ო, როგორ სახეს მიჩვენებდით ნეტავი მაშინ...

თ ა ვ ა დ ი

შენ გინდა ამგვარ ლაპარაკით რომ შემაშინო...
ჯერ ვნახე შენი მშვენიერბანი მხოლოდ ნახევრად...
მსურს დანარჩენიც... არ იქნება უკან დახევა.

ნ ი ლ ა ბ ი

(უნდა, რომ წავიდეს.)

გემშვიდობებით სამუდამოდ.

თ ა ვ ა დ ი

ო, წუთი მხოლოდ...

ნუთუ არაფერს არ მიტოვებ მე სამახსოვროდ?
არ გებრალბი ესდენ გიყი, შენთვის ტანჯული?

ნ ი ლ ა ბ ი (ორი ნაბიჯით უკან დაიხეცს.)

მართლაც მებრალვით... ჰა, წაიღეთ ეს სამაჯური.

(სამაჯურს იატაკზე დაადებს, სანამ თავადი სამაჯურს აიღებდეს, ნიღაბი
ხალხში მიიმალება.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ზ ვ ი დ ე

თავადი. შემდეგ არბენინი

თ ა ვ ა დ ი

(ნიღაბს თვლით ამაოდ დაეძებს.)

როგორ გავბრიყვდი... აი, ლამის ჭკუა წამერთვას.

(არბენინი შეამჩნია.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მოდის ღრმად დაფიქრებული.)

ვგონებ არ ვიცნობ მე იმ ბოროტ წინასწარმეტყველს,
თვითონ კი შიშობს, ჰო, არ ხუმრობს იგი კეთილად...

თ ა ვ ა დ ი (არბენინთან მივა)

თქვენ რომ მასწავლეთ, დიდად მარგო იმ გაკვეთილმა.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

გულით გილოცავთ...

თ ა ვ ა დ ი

ასე უცებ... რას ვიფიქრებდი...

ბედს გადავაწყდი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ღიახ, მუდამ ასეა ბედი.

თ ა ვ ა დ ი

ის იყო, ხელი წავატანე, ჩემია მეთქი,
უკვე მჯეროდა, მაგრამ უცებ...

(ხელისგულს სული შეუბერა)

სხვა რაღა მეთქმის...

ღიღი ბრიყვი ვარ, თუ არ იყო იგი ზმანება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არ ვიცი, იქნებ სწორი იყოს თქვენი ბრძანება.

თ ა ვ ა დ ი

თქვენ მუდამ ხუმრობთ... ჯცის შევლას ახლა აქვს ფასი...
ყველაფერს გეტყვიო...

(ყურში რამდენიმე სიტყვას ჩასჩურჩულებს.)

ოჰ, გავოცდი, ის ოინბაზი

გაქრა... ეს დამრჩა.

(სამაჯურს უჩვენებს)

თითქო სიზმარს ვხედავდი წუთით...

ცუდად დასრულდა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (ლიმილით)

დასაწყისი არ არის ცუდი...

აბა მიჩვენეთ! სამაჯური ჩანს მოსაწონი...

ცოტა მაცალეთ... მე ეს სადღაც მინახავს მგონი...

ო, არა, ღიახ, აღარ მახსოვს... ეს არ იქნება... ,

თ ა ვ ა დ ი

სადღა ვეძიო...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ადვილია მისი მიგნება...

აქვე ბევრია, აირჩიეთ, რომელიც გნებავთ...

თ ა ვ ა დ ი

მაგრამ ის ქალი რომ არ შემხედვს?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს შეიძლება,

მერე რა მოხდა... თქვენც იფიქრეთ, ვითომ ის არი...

თ ა ვ ა დ ი

არა, მოგნახავ, მე ასე მაქვს დანაფიცარი,
თუნდაც ზღვის ფსკერზე... სამაჯურიც დამეხმარება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მაშ ერთხელ ხალხში გავიაროთ აუჩქარებლად,
მაგრამ თუ არის იგი ოდნავ ჭკვიანი ქალი,
კარგა ხნის წინათ გაქრებოდა აქ მისი კვალი.

ს ც ე ნ ა მ ი ს ა მ ე

ბ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ევგენი არბენინი (შემოდის); მსახური.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რა მიხარია, რომ გათავდა სალამო გრძელი...
ახლა კი დროა თუნდაც წუთით მეღირსოს შეება,
მაგრამ მთელი ეს მასკარადი, ეს ხალხი ჭრელი
მე ისევ თავში მიტრიალებს და არ მეშვება.
რას ჩავდიოდით... სასაცილო არ არის განა?
რჩევას ვაძლევდი ვინმე აშიქს მიეთ-მოეთი;

მერე სამაჯურს გამოწმებდი, ვეჭვობდი თანაც
და სხვის მაგიერ ვოცნებობდი, როგორც პოეტი.
არა, ღმერთმანი, მე, ამ ხნის კაცს, მოქცევა ასე
ალარ შემფერის... (მსახურს) ქალბატონი მობრძანდა?

მსახური

არა!

არბენინი

როსლა მოაღწევს?

მსახური

როგორც ბრძანა, თორმეტ საათზე.

არბენინი

უკვე მეორეს ჩამორეკავს საათი ჩქარა.
ნეტავ ამ ღამეს იქ ხომ არ ათევს!

მსახური

ეს კი არ ვიცი.

არბენინი

ვითომ?... ჰო, ნახე...

იქ მაგიდაზე აანთებ სანთელს
და თუ დამჭირდი, გამოგიძახებ.

(მსახური წავა და არბენინი ჯდება სავარძელში.)

გამოსვლა მმორბე

არბენინი (მარტო),

სამართლიანი არის ღმერთი! ამდენი ტანჯვა
ჩემი წარსული ცოდვებისთვის მან მომისაჯა.
იყო, ოდესღაც მიმელოდნენ სხვათა ცოლები...

ახლა კი ჩემს ცოლს თვითონ ველი გულათრთოლებით.
რა სულელურად მე იმ თვალთმაქც ლამაზთა წრეში
ჩავლუპე ჩემი სიყმაწვილის ძალა და ეშხი...
ბევრს ვყვარებივარ, ვნების ცეცხლი არვის ჰკლებია,
მაგრამ მე მათში სულ არავინ არ მყვარებია.
ჩემთვის რომანის დაწყებამდე იყო ნათელი
რომანის ბოლო. როგორც ზღაპარს ჰყვება გამდელი,
ვიმეორებდი სატრფიალო სიტყვებს ჩურჩულთ.
და მომეწყინა... მარტოობით დამძიმდა გული.
ბოლოს ვილაცამ რჩევა მომცა მე ვერაგული —
ცოლი შემერთო, რომ ამქვეყნად მეც მღირსებოდა
წმინდა უფლება, სულ არავინ არ მყვარებოდა.
და მეც ვიპოვე ჩემი ცოლი, წყნარი ქმნილება...
თავად სიტურფე, სინარნარე და მორჩილება.
და ვით ზვარაკი სამსხვერპლოს წინა,
ის განვამზადე, რომ შემეწირა,
მაგრამ უეცრად დიდი ხნის წინ დავიწყებულმა
ხმამ განიღვიძა... ჩემს მკვდარ სულში განცვიფრებულმა
რომ ჩავიხედე... ო... სირცხვილო, საშინელება...
იქ ტრფობის ცეცხლი გუზგუზებდა შეუნელებლად...
ისევ ოცნებით გატაცება და სიყვარული...
ცარიელ მკერდში ქარტეხილის ბორგვა ფარული.
თითქოს ზღვაში ვარ ნავი ნიჩბებშემომსხვრეული:
განა ნავსადგურს მივაწყდები გზადაბნეული?

(ჩაფიქრდება.)

გამოსვლა მენსამე

არბენინი და ნინა

(ნინა ფეხაკრფით შემოდის, არბენინს უკნიდან მიეპარება
და შუბლზე აკოცებს.)

არბენინი

ეს შენ ხარ, ნინა? გამარჯობა! რა დაგემართა?
ძლივსლა მოხვედი...

ნინა

დავგვიანდი? არც ისე თითქოს...

არბენინი

მთელი საათი დაილია, გელოდი...

ნინა

მართლა?

ო, რა კარგი ხარ... რა კეთილი...

არბენინი

გულში კი ფიქრობ:

აი სულელი... ის მელოდა... მე კი...

ნინა

ო, ღმერთო?

შენ უგუნებოდ ხარ ყოველთვის და, სასიკეთოდ,
თუმცა ბევრი ვცადე, ვერ მოვიგე მე გული შენი.
თუ სადმე წავალ, შენ სწუხხარ ერთობ...
დავბრუნდები და... ბუზღუნებ წყენით.
მითხარ პირდაპირ: ნინა, მოდი, დათმე ყოველი,
მე შენთვის, შენთან მსურს ცხოვრება და სიხარული...
უგულო, ფშუტე აშიკისგან რას გამოელი?...
რად გინდა უცხო მამაკაცი, ეს ბულგარული
კოპწია ფრანტი, ტანზე კორსეტშემოკვართული?
მთელ დღეს აღამებ მაღალ წრეში მასთან გართული...
და თუ მოირბენ, განა სახლში დარჩები დიდხანს?
დღე ისე გადის, ორი სიტყვაც შენთვის ვერ მითქვამს.
ფუჭ ფუფუნებას, მოდებს, ბალებს თუ გამაცილებ,
მზად ვარ, შორს, სოფლად რომ დავმარხო ეს სიყმაწვილე,
ეს უფერული, მოსაწყენი თავისუფლება...
მითხარ უბრალოდ... შენი ცოლი გესაუბრება.
მაგრამ უეცრად გაფიქრებას საით მივყავარ!..

ვთქვათ, დავიჯერე რომ შენ გიყვარვარ,
ისე მცირეა ეგ სიყვარული,
გულს თავის დღეში არ გაგკენწლავს ეჭვი ფარული.

არბენინი (ღიმილით)

უღარდებლობას დამაჩვია თვით ბედისწერამ.
რა ვქნა, რომ ეჭვი სიცილადაც არ მყოფნის...

ნინა

მჯერა.

არბენინი

შენ გული მოგდის...

ნინა

ო, არა, გამადლობთ...

არბენინი

დაღონდი?

ნინა

არა, მე მხოლოდ ვამბობ,
რომ არ გიყვარვარ.

არბენინი

ნინა, თვით ღმერთმა
სამარადისოდ ჩვენ შეგვავერთა
ერთი ბორკილით... იქნებ ის ცდება.
ამას მე და შენ ვინ გვეკითხება...

(მუხლებზე დაისვამს და ჰკოცნის.)

შენ ყმაწვილი ხარ ასაკით, სულით,
ვეება წიგნში ამ ცხოვრებისა

ჯერ თავფურცელი გაქვს წაკითხული.
ზღვა სიხარულის, ბოროტებისა,
წინ გადაშლილა, და შენც გასწი საითაც გინდა.
დე იოცნებე, წინ იმედნი მრავალნი ჩანან.
რაც შეეხება წარსულს შენსას, შენ იყავ წმინდა,
ან საკუთარ გულს, ან გულს ჩემსას იცნობდი განა,
ისე დამნებდი, და მე მჯერა გიყვარვარ თანაც,
მაგრამ ანგარიშმიუცემლად, გრძნობის თამაშით,
ისე, ვით ცელქობს გიჟმაჟი ბავშვი.
მე კი სხვაგვარად შემეყვარდი — გასაგებია —
ბევრი რამ ვნახე, შევიგრძენი და შევიცანი.
ხშირად მიყვარდა, უფრო ხშირად კი მძაგებია,
და უფრო მეტჯერ ვცანი წუთნი წამებისანი,
პირველად მსურდა ყველაფერი, მერე ყოველი
ისევ შემძულდა, ხან ვერ მცნობდა წუთისოფელი.
ხან თვითონ ჩემთვის მე ვიყავი შეუცნობელი.
ჩემს ცხოვრებაზე მე ვიხილე დალი წყევლათა,
და ცივად, ხელნი გაშვერილნი მოსახვევნადა
გულზე დავიჭდე. მიწიერნი ნეტარებანი
არლა მჯეროდა. ამ ტანჯვაში გავიდა ხანი.
ჩემი ცოდვილი ყმაწვილობის იმ დროს, რომელიც
ასეთი შფოთვით მომეწამლა და დაიშარხა,
გაფითრებულნი, შენ მშვენიერ მკერდს მინდობილი,
რა საშინელი მძულვარებით ვიგონებ ახლა.
შენს სიძვირფასეს უბედური ვერ ვგრძნობდი წინათ,
მაგრამ წამს სულმა განიძარცვა გამხმარი ქერქი.
ქვეყნის სიტუტრფემ ჩემ წინაშე კვლავ გაიბრწყინა
და სიცოცხლისთვის, სიკეთისთვის კვლავ წამოვდექი.
მაინც ხანდახან ხმა ბოროტი თუ ჩამომძახებს
და ისევ გამხვევს წარსულ დღეთა ბნელ ქარიშხალში,
ჩემს გონებაში შენს ნათელ სახეს,
შენს ჯადოქრულ ხმას უეცრად წაშლის,
როცა თავს ვებრძვი, ფიქრნი შავ ფრთებს გამოისხამენ,
მაშინ მე ვდუმვარ, მე ვარ კუშტი, მე ვარ მრისხანე,
მაშინ მე ვცდილობ, არ შეგაკრთოს შენ ჩემმა კვნესამ,
ოხვრამ, რომელიც აღმოხდება გულს ნაწამებსა...

რომ არ შეგბღალო, ვცდილობ ხელიც არ მოგაკარო...
და შენ კი ამბობ ეჭვნეულად — არ გიყვარვარო...
(ნინა ქმარს აღერსიანად უცქერის. თმაზე ხელს გადაუსვამს.)

ნ ი ნ ა

საოცარი ხარ!.. მაშინ, როცა შენს სიყვარულზე
მესაუბრები გატაცებით, ენამზიური,
მაშინ, როდესაც აღმოდებულ შენს სახეს ვუმზერ
და შენს თვალებში ცოცხლად ბრწყინავს აზრი ციური,
მე მწამს ყოველი, ჩემს ეჭვებსაც ეღება ბოლო...
მაგრამ ხშირად კი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ხშირად?

ნ ი ნ ა

არა, ხანდახან მხოლოდ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს გული ძალზე მოხუცია, შენ ყმაწვილი ხარ.
თუმცა თანაბარ მგრძნობელობით რომ გყვარებოდა,
მაინც შეგვეძლო... მახსოვს, როცა შენი ხნის ვიყავ,
მე ყველაფერი მწამდა, მჯეროდა.

ნ ი ნ ა

კლავ საყვედური? ღმერთო ჩემო...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ოჰ, არა, არა...

ბედნიერი ვარ... ბედნიერი ვიქნები მარად.
ვარ გიჟი, ცილისმწამებელი, ვარ უღმობელი.
როცა არ მესმის ხარბ და ბოროტ ბრბოების ყეფა,

ბედნიერი ვარ შენთან ახლოს, შენი მფლობელი...
შავი წარსული დაე, მივცეთ ჩვენ დავიწყებას.
რა საჭიროა... ვხედავ ღმერთმა ასეთი წმინდა,
გამომიგზავნა შენი თავი საჩუქრად ციდან.

(ხელეზს უკონის და უცებ შეამჩნია, რომ ერთ ხელზე სამაჯური არა
აქვს. შედგა, ფერი ეცვალა.)

ნ ი ნ ა

ო, ღმერთო! შენ თრთი... რად გეცვალა უეცრად ფერი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (წამოვარდება)

მე? არაფერი... სამაჯური სად არის ერთი?

ნ ი ნ ა

აჰ!.. დამკარგვია...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დაგეკარგა?

ნ ი ნ ა

რა მოხდა მერე?

დე არაფერი დაგეკარგვოდეს ჩვენ ამის მეტი...
ოცდახუთ მანეთს არ ასცდება ღირებულება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (თავისთვის)

დაკარგულია? მაშ სულს შფოთვა რისთვის სწადია?
ან უცნაურად ეჭვი რაზედ მეჩურობულება?
თითქოს ვიყავი ტკბილ სიზმარში... ეს კი... ცხადია!..

ნ ი ნ ა

მართალი გითხრა, ვერ გავიგე, რამ გაგამწარა,..

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(გულზე ხელდაჭლობილი გამგმირავად უცქერის)
მაშ სამაჯური შენ დაკარგე?..

ნ ი ნ ა (წყენით)

ვიცრუე... არა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (თავისთვის)

მაგრამ მსგავსება, ეს მსგავსება...

ნ ი ნ ა

დავკარგე... დიახ...

ბრძანეთ ეძიონ კარეტაში... სადმე თუ გლია...
ეს რომ მცოდნოდა, ხელის ხლებას არც გავებედავდი...
სამაჯურისთვის... ასეთი დარდი...

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ი

ნინა, არბენინი, მსახური.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(ზარს დარეკავს. შემოდის მსახური.)

ახლავ კარეტა განხრიკე კარგად...
ჩანს, სამაჯური იქ დაიკარგა...
ნახავ, მოიტან, ჩვენზე ღმერთი თუ არ გაწყრება.
(ნინას) ჩემი ღირსების, ბედის საქმე აქ გადაწყდება.

(მსახური გადის. მცირე პაუზის შემდეგ ნინას)

მაგრამ ვაითუ ვერ იპოვოს, ეს მეფიქრება...

ნ ი ნ ა

მაშინ, ცხადია, სხვაგან იქნება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სხვაგან? სად? იცი?

ნ ი ნ ა

ხართ სასტიკი და მასთან ერთად
საოცრად ძუნწი, რაც აქამდე არ დამინახავს.
იქნებ დაწყნარდეთ... მე სამაჯურს ხვალ შევუკვეთავ
და ჩაგაბარებთ ისეთსავეს, თან უფრო ახალს.

(შემოდის მსახური.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

აბა, რას მეტყვი... პასუხი ჩქარა...

მ ს ა ხ უ რ ი

გავჩხრიკე, სანთელს ამაოდ ვწვავდი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მამ კარეტაში არ იყო?

მ ს ა ხ უ რ ი

არა.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მე ეს წინასწარ ვიცოდი... წადი.

(მრავალმნიშვნელოვნად უცქერის ნინას.)

მ ს ა ხ უ რ ი

ჩანს, მასკარადში დაეკარგა იგი ქალბატონს.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ა, მასკარადში?.. იქ ყოფილხართ?

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ხ უ თ ე

ნინა, არბენი, მსახური.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მსახურს)

დაგეტოვებ მარტო.

(ნინას)

მაგრამ თქვენ წასვლას მასკარადში თუ აპირებდით,
ჩემთვის ამისი წინასწარ თქმა არ იყო ძნელი.
მაშინ პატივი მექნებოდა, მიგაცილებდით
და ისევ უკან მოგიყვანდით. იქ თქვენთვის ხელი
არ შემეშალა დაეჭვების მრისხანე მზერით
და არც უგვანო, აზიზი ქცევით...
ვისთან იყავით?

ნ ი ნ ა

ეს ხალხს ჰკითხეთ, ეს მათ იციან...
მოგიყვებიან ყოველ წვრილმანს და მეტსაც კიდევ:
ან სამაჯური სახსოვარად თუ გამიცია,
ან ვისთან ვიყავ, ვინ დამდედა, ვის გავეკიდე.
ყოველს გეტყვიან და იქნება ათასჯერ ცხადი,
ვიდრე თქვენ თვითონ რომ გენახათ ის მასკარადი.

(იცინის)

სასაცილოა... მოწმე არის ღმერთი მაღალი...
სულ არაფრისთვის და ამხელა აყალმაყალი...
ვაი სირცხვილო და ვაი ცოდვა!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვშიშობ არ იყოს ეგ სიცილი უკანასკნელი...

ნ ი ნ ა

ო, თუ არ შეწყვეტ ამნაირ ბოდვას,
კვლავ გაცინება არ არის ძნელი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვინ იცის... იქნებ მართალი ხარ... ნუ გამიწყობი...
ცხადია, მოჩანს სასაცილოდ ეს გაცხარება...
რადგან მიყვარხარ ისე ძლიერ, თავდავიწყებით...
რამდენადაც კი შეძლება კაცს შეყვარება.
საოცარია... ქვეყანაზე ვინც გავიცანი,
ყველას ბევრი აქვს იმედები, სწრაფვა, მიზანი,
ერთი სიმდიდრის მოპოვებას გაუტაცნია,
და მეორე კი მეცნიერი, წიგნის კაცია.
ეს აღმატებას, ჯვარს, დიდებას დაეძებს მუდამ,
და იმას კიდევ ხალხში ყოფნა, გართობა უნდა.
ის მოგზაურობს, ამას უყვარს ბანქოს თამაში.
მეც ვთამაშობდი, მეც მივლია სხვა ქვეყანაში.
ვიყავ თავქარა, ავყოლივარ ღელვას გულისა,
ვცან მეგობრობა, ვცან მზაკვრობა სიყვარულისა.
მდიდარს თუ ღარიბს მე მოწყენა ერთგვარად მღრღნიდა.
არ მაქვს დიდება, ჩინ-მედლებზე არც მიფიქრია...
მე ბოროტება ვნახე ყველგან, ყოველი მხრიდან,
და მის წინაშე ამაყს თავი არ დამიხრია.
მაინც ამქვეყნად ერთი დამრჩა კმაყოფილება:
ეს შენ ხარ, ტურფა ანგელოზო! სუსტო ქმნილება!
ვიდრე ცოცხალ ვარ, სულ ჩემია, მე ასე მჭერა,
შენი ღიმილი, სიყვარული, სუნთქვა და მზერა.
მე მათ გარეშე არ მექნება გრძნობიერება,
აზრი ცხოვრების, თუ სხვა რამე ბედნიერება.
მაგრამ თუ ვცდები, თუ ჩემს მკერდზე გველს ჰქონდა ბინა,
თბებოდა დიდხანს, ცრუ ალერსით თუ დამაძინა,
თუ მომატყუა, და ნამდვილად გამოვიცანი,
სხვასთან, ზურგს უკან დამცინოდა გველი მისიანი,
მისმინე, ნინა, მინდა გითხრა სიმართლე სრული.
ვით ცხელი ლავა, მე თან დამყვა მღუღარე სული...
თუმცა გალხობამდე ის ქვასავით არის მაგარი,
მაგრამ ერიდე არ გადმოსკდეს ეს ნიაღვარი,
თორემ წაგლეკავს... არც ითხოვო აქ შებრალება...
განა სამართალს მოვუწოდებ, იძიოს შური?

არა, თვითონვე, უცრემლებოდ და უნანებლად,
ჩვენს ორ სიცოცხლეს ერთად წაეწყმედ მე უკეთური.

(უნდა ნინას მკლავში ხელი ჩაავლოს. ნინა გაუსხლტება.)

ნ ი ნ ა

არ მომეკარო... როგორი ხარ... რა საშინელი!..

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

საშინელი ვარ? ნუთუ მართლა?.. შენ ხუმრობ... არა,
სასაცილო ვარ... მაშ დამცინე... სურვილი მწველი
ხომ დაიოკე... რად ცანცახებ? გასძახე ჩქარა
ცეცხლოვან მიჯნურს, მასკარადის ფუყე ტიკინას...
მანაც დამცინოს, ეს ღირსება ვინც შემივინა,
დაატრიალეთ თქვენ ჩემს სულში ეს ჯოჯოხეთი,
და რა მაკლია მე ამის მეტი!

ნ ი ნ ა

თურმე როგორი ბრალი მედება,
და სულ დაკარგულ სამაჯურისთვის.
მაგრამ იცოდე, თქვენს მოქმედებას
მთელი ქვეყანა დააყრის სიცილს.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ღიახ! დამცინეთ, ქვეყნის ბრიყვნო, ვისაც გენებოთ!
დამცინეთ, ქმრებო, თქვე საწყლებო და რეგვენებო!
რომ გატყუებდით ერთ ღროს მე და ჩემისთანები...
მაინც, რომ ცხოვრობთ ვით ედემში ცის წმინდანები.
ვაჰმე! ჩემი ცა დაინისლა უამინდობით...
ცისა და მიწის სამოთხეო, ახლა მშვიდობით.

(ნინას)

წადი, გამშორდი, ქვებუდანო, ვიცი ყოველი...
მე ბრიყვს მეგონა, დასტანჯავდა მას სინიღისი.
გამიტყდებოდა, სინანულით ძირს დამხობილი,

მეც მოვლბებოდი, ოღონდ ცრემლი მენახა მისი,
სულ ერთი ცრემლი... პასუხად კი აქ ვხედავ სიცილს...

ნ ი ნ ა

ასეთი ცილი ვინ დამწამა, სწორედ არ ვიცი...
მინდა გიშველო, რომ არ დარჩეს შენს გულში მანკი...
მაგრამ არ ვიცი, რა ვიღონო, დამშვიდდი, კარგი...
მე არ გატყუებ; დამნაშავე არა ვარ, არა...
ჰა, გაბატიე...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დადუმდი, კმარა!

ნ ი ნ ა

გთხოვ, მომისმინე, დამნაშავე არა ვარ-მეთქი...
დე, თუ ვტყუოდე, მან დამსაჯოს, ხომ არის ღმერთი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

წინასწარ ვიცი რასაც მეტყვი...

ნ ი ნ ა

რა უბედური,
რა ტანჯული ვარ, გულს მისერავს ეგ საყვედური,
რადგან მიყვარხარ, შენ, ევგენი!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მაგრამ მე ვგონებ

ეს აღსარება დაგვიანდა...

ნ ი ნ ა

გთხოვ! გამიგონე!

ო, ღმერთო ჩემო! მაშ რა გინდა!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

შურისძიება...

ნ ი ნ ა

ვისზე?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დრო მოვა, ყველაფერი გეცოდინება...

ნ ი ნ ა

თუ ჩემზე, მაშინ რაღას უცდი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეგ სიმამაცე

სულ არ გიხდება...

ნ ი ნ ა (ზიზლით)

მაინც ვისზე?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვისზე წუხთ ასე?

ნ ი ნ ა

ასეთი ტანჯვა ნუთუ კიდევ ბევრი მომელის?
ჰოი, დადუმდი!.. მე შენს ეჭვებს ვერ გადავრჩები...
თხოვნა არ ვიცი... რა ყოფილხარ, რა უღმობელი!
მაგრამ, მე აქაც გაბატიებ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რად იხატებებით?

ნ ი ნ ა

ღმერთი ხომ ხედავს? არ შეგინდობს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სამწუხაროა.

(ნინა აცრემლებული გადის.)
(მარტო)

ჰა, ესეც ქალი! მე თქვენ გიცნობთ დიდი ხანია,
თქვენი ყოველი ალერსით და საყვედურებით,
მაგრამ შეგარძნების მცდარი ალლო დამყვა ბუნებით
და მერე რარიგ დავისაჯე ამ ნაკლის გამო.

ასეთი კაცის შეყვარება ვის გაუგია?

როცა ვარ სახით ესდენ კუშტი, ხმით უსიამო...

(კართან მივიდა. ყურს უგდებს ნინას.)

იქნებ იცინის... ო, ქვითინებს... ვნანობ, რომ გვიან!..

პირველი მოქმედების დასასრული.

მ ო მ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

სცენა პირველი

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ ე ლ ი

(სავარძელში ზის დაღლილი ბარონესა. წიგნი გვერდზე მიაგდო.)

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ვფიქრობ, რად გავჩნდით, ნუთუ მისთვის, რომ უსუსურნი,
უკუნისამდე გასრულებდეთ სხვის ნება-სურვილს?

ვიყოთ მონები... და ჟორჟ ზანდმაც თქვა ისე ნათლად:

მართლაც რა არის დედაკაცი, თუ არა სხვათა

ვნების და ჟინის სათამაშო, სუსტი ქმნილება?

მთელი ქვეყანა ვით სამსჯავრო მას ევლინება,

როცა დამცველად ქვეყანაზე არ ჰყავს არავინ,

სულ ცახცახშია თვის გრძობათა ცეცხლის მფარავი.

ან წამს მოაქრობს, თუ გაღვივდა ის მთელი ძალით.

დიახ, ჩვენს დროში რა არის ქალი?

ბავშვობიდანვე, როგორც ზვარაკს შეეფერება,

კაზმავენ — სარფით რომ გაყიდონ მისი მშვენება.

ქალს უჩივიან: თავი თვისი უყვარსო მეტად,

თან უკრძალავენ სხვისთვის გრძობა თუ გაიმეტა.

ზოგჯერ მის მკერდში ატეხილი ბორგვა ვნებისა

შიშსა და ფიქრებს თუ განაზნევეს და წამს ეღირსა

ცხოვრების წესნი დაივიწყოს — რომ საძულველი

მან განიძარცვოს ტანსაბურველი,

მთელი არსებით მოიმართოს სასიყვარულოდ,

მაშინ მშვიდობით, განსვენებავ და სიხარულო!

სწორედ იქვეა წრე მალალთა... მათ ბრწყინვალეებას

არც სურს შეიგნოს, თუ შენს სულში რა იმალება.

მათ საბურველი, გარეგნული მოსწონთ იერი

და სულ ერთია, შენ წმინდა ხარ თუ ბიწიერი.

მაგრამ მათ ჩვევებს თუ შელახავ უნებურ ქცევით,

სასტიკ განაჩენს ვერ გაექცევი.

(უნდა კითხვა განაგრძოს.)

არა, წაკითხვაც აღარ ძალმიძს, ამ გაფიქრებამ

ისე ამრია... რომ მაშინებს მისი ხსენებაც.

რა ჩავიდინე?.. როცა ნათლად წარმომიდგება,

მე ჩემი თავი სხვად მეჩვენება.

(შემოდის ნინა.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ე

ნ ი ნ ა

დავსეირნობდი თოვლში მარხილით

და გადავწყვიტე შემომეგლო შენთან, mon amour.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

C'est une idée charmante, vous en avez toujours.

(სდებთან.)

დღეს გაოცდება შენი მნახველი...

ქარ-თოვლში იყავ და რადა ხარ ასე ფერმკრთალი?
თვალთა სიწითლეც, ჩანს, არ არის ცრემლების ბრალი.

ნ ი ნ ა

შეუძლოდა ვარ, თანაც ცუდად მეძინა წუხელ.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

შენი ექიმი უვიცია, სხვა ექიმს უხმე.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ ს ა მ მ

(შემოდის თავადი ზევზდიჩი)

ბ ა რ ო ნ ე ს ა (ცივად)

თქვენა, თავადო!

თ ა ვ ა დ ი

მე გუშინაც ვიყავი თქვენთან,
რომ ჩვენი ფსონი ჩაიშალა, ეს მსურდა მეთქვა.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ლაბრძანდით!

თ ა ვ ა დ ი

ვხედავ, სხვაგან არის თქვენი გონება.
მე კი მეგონა, ეს ამბავი დაგაღონებდათ.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

რატომ, მეწყინა...

თ ა ვ ა დ ი

მე პირიქით, ეს გამეხარდა,
ჩემთვის არა ღირს ოცი ფსონიც ერთ მასკარადად.

ნ ი ნ ა

გუშინ იყავით მასკარადში?

თ ა ვ ა დ ი

ვიყავი.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

მაინც

რა მორთულობით?

ნ ი ნ ა

იქ ნახავდით, ო, ათასნაირს...

თ ა ვ ა დ ი

ნიღაბში ვიცან ბევრი ჩვენი მანდილოსანი.
ჰე, როგორ გიყვართ ქალებს მორთვა-შესამოსავნი.

(ივინის.)

ბ ა რ ო ნ ე ს ა (გაცხარებით)

თავადო, ფრთხილად! ეგ ჭორები გთხოვთ აგვაცილოთ.
ცილი დაგვწამეთ — სულ არ არის ეგ სასაცილო.
იქ წესიერი ქალებიდან ვიცი არავინ
ფეხსაც არ შედგამს, სად ათასნი ვიგინდარანი
იკრიბებიან, სად ნება აქვს ყველა ვაჟბატონს,
ყველა თავქარას, რომ ბინძური გრძობა გაგანდოს,
იქნება კიდევ გამოგიცნოს, მერე დაგიცნოს...
უნდა გრცხვენოდეთ... ვინ იქნება თავი გასწიროს?
რაც თქვით, უკანვე დაიბრუნეთ, სწორედ მწყენია.

თ ა ვ ა დ ი

ეგრე დავიბრუნებ, სირცხვილით კი, დიახ, მრცხვენია.

(შემოდის მონელი.)

გამოსვლა მემოთხე

ბარონესა, ნინა, ზვეზდლიჩი, მოხელე.

ბარონესა

თქვენ აქ საიდან?

მოხელე

ეს წუთია მმართველობიდან...
სალაპარაკოდ იმ საქმისთვის თქვენთან მოვედი.

ბარონესა

არ გადაწყვიტეს?

მოხელე

არა, მაგრამ იქნება ჩქარა...
იქნებ მე ხელი შევიშალოთ...

ბარონესა

ო, სულაც არა.

(მიდიან ფანჯარასთან, საუბრობენ.)

თავადი (განზე)

ახლა კი ვეტყვი... (ნინას)
თვალში მომხვდა დღეს თქვენი სახე
მაღაზიაში...

ნინა

სად?

თავადი

ინგლისურ მაღაზიაში.

ნინა

როდის?

თავადი

წუთის წინ...

ნინა

მიკვირს რატომ ვერ დაგინახეთ...

თავადი

ო, თქვენ გართული იყავით მაშინ.

ნინა (აჩქარებით)

(რედიკიულს გახსნის, სამაჯურს ამოიღებს.)

ასეთს ვეძებდი,
ვერსად ვნახე შესადარისი.

თავადი

მშვენიერია, რა კარგია... მაგრამ ამისი
ცალი სად არის?

ნინა

დამეკარგა.

თავადი

ნუთუ? ნამდვილად?

ნინა

სულაც არ არის საკვირველი.

თავადი

არც დასამალი?

როდის?

ნ ი ნ ა

დღეს, გუშინ, თუ იმ კვირას, თქვენ ეს რად გინდათ?

თ ა ვ ა დ ი

მე უცნაური რამ განვისაზრე...

(განზე)

როგორ შეშფოთდა... დაირცხვინა ჩემს შეკითხვაზე...
ო, ეს ღვთის კრავნი! (ნინას) მე კი მქონდა სურვილი წრფელი,
დაგზმარებოდი... მისი პოვნა არ არის ძნელი...

ნ ი ნ ა

ნეტავი მართლა სად იქნება?

თ ა ვ ა დ ი

სად დაგეკარგათ?

ნ ი ნ ა

არ მახსოვს კარგად!

თ ა ვ ა დ ი

იქნებ ის ბალში დაკარგეთ სადმე...

ნ ი ნ ა

შესაძლო არის.

თ ა ვ ა დ ი

ან იქნებ დათმეთ...

სადმე ვინმესთვის სამახსოვრო გიჩუქებიათ.

ნ ი ნ ა

რა ბრძანებაა? აბა ეგ რამ გაფიქრებინათ?
ქმარს თუ გაჩუქე, ვის მიცემდი სხვას სამახსოვროდ?

თ ა ვ ა დ ი

თითქოს ამქვეყნად ერთადერთი ქმარია მხოლოდ;
თქვენ ხომ ქალთაგან უამრავი გყავთ მახლობელი...
ვთქვათ, სამაჯური დაიკარგა, მაგრამ, რომელიც
სამაჯურს ნახავს და ჩაგაბარებთ,
ჯილდოდ რას მისცემთ? მითხარით, ბარემ...

ნ ი ნ ა (ლიმილით)

ეს გააჩნია ვინ იქნება...

თ ა ვ ა დ ი

ვთქვათ რომ ის არი,
ვისაც უყვარხართ, დაკარგული თვისი სიზმარი
ვინც თქვენში ჰპოვა, ვინც ყველაფერს იმისთვის დათმობს,
რომ თქვენ აჩუქოთ ერთი სიტყვა, ღიმილი სათნო,
ვისაც ნიღაბით მოევილინეთ შეუტყნობელი
და აგრძნობინეთ — გახდებოდა თქვენი მფლობელი,
იღუთქვით წუთნი მომავალი ნეტარებისა,
თქვენგან ალერსი, სიყვარული ერთხელ ეღიროსა,
ბოლოს და ბოლოს ხომ გამიგეთ?..

ნ ი ნ ა

გისმენდით მშვიდად?

და ეს გავიგე, რომ, თავადო, თავს გავივიდათ,
ხმა აღარ გამცეთ! აქ გათავდა ყველა სათქმელი!
ეს ყოფილიყოს პირველი და უკანასკნელი...

თ ა ვ ა დ ი

შიწყრებით! ღმერთო! თქვენ გელოდით მე ოცნებაში...
(თავისთვის) თავს იძვრენ? კარგი... ის საათიც მოვა და მაშინ
ჩემს გულის წადილს ავისრულებ... უეჭველია.

(ნინა მიდის ბარონესასთან, მოხელე მათ დაემშვიდობა და წავიდა.)

ნინა

Adieu, ma chère,

მაშ ხვალამდის! შინ მიმელიან.

ბარონესა

ოჰ, კარგი ერთი, mon ange, დარჩი სულ ერთი წამით...
ისე გარბინარ — ორი სიტყვაც ვერ მოვასწარი.

(ერთმანეთს ჰკოცნიან.)

ნინა (მიდის)

ხვალ დილით გელი...

ბარონესა

მაგრამ ვიდრე ხვალ გათენდება,
ეს დრო ერთ კვირად მომეჩვენება.

(ნინა წავიდა.)

გამოსვლა მთავრით

წვეწდიხი და ბარონესა.

თავადი (თავისთვის)

მაშ გადაგიხდი... ჰოი, კრავი და უტოდველი!
ვთქვით მე გავგიჟდი, ვთქვით უარყო მანაც ყოველი.
ეს სამაჯური!

ბარონესა

რად ჩაფიქრდით, თავადო, ასე?

თავადი

აღბათ ბევრ რამეს გადავიფიქრებ... ვერ მოვისაზრებ...

ბარონესა

როგორც მეჩვენა, ცხარდებოდით თანდათანობით...
ნეტავ ასეთი გატაცებით რაზე დაობდით...

თავადი

გუმტკიცებდი, რომ მასკარადში შევიცან...

ბარონესა

ვინა?

თავადი

ის.

ბარონესა

როგორ? ნინა?

თავადი

დავუმტკიცე... ჰო, სწორედ ნინა.

ბარონესა

გიყვართ აუგის პირში მიხლა მოუხათრებლად...

თავადი

უცნაური ვარ, მართლაც, ზოგჯერ ეს მემართება.

ბარონესა

ზურგს უკან მაინც შეიბრალებთ უბიწოება,
ეს დაამტკიცოთ, არც საბუთი მოგეპოვებათ.

თავადი

არა... თუმც ერთი სამაჯური გუშინ გადმომიცეს,
ისე ჰვავს, ისე მის სამაჯურს, რომ გავაოცებთ.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

აი საბუთი უეჭველი... დასკვნა მაგარი...
მაღაზიაში ყველგან არის ნიეთი ამგვარი.

თ ა ვ ა დ ი

არ დამრჩენია მაღაზია თითქმის არც ერთი,
და მე დავრწმუნდი — რომ ორია მხოლოდ ასეთი.

(დუმბლის შემდეგ)

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ერთ კეთილ სიტყვას ხვალ წინას ვეტყვი;
რომ ყბედთან მართებს სიფრთხილე მეტი.

თ ა ვ ა დ ი

მე რაღას მირჩევთ?

ბ ა რ ო ნ ე ს ა

გირჩევთ — იყოთ უფრო გულადი;
რომ დაწყებული მიიყვანოთ დასასრულამდი.
მეტ პატივს სცემდეთ ქალის სახელს გულისხმიერი.

თ ა ვ ა დ ი

ორი რჩევისთვის მეც ორმაგად ვარ მადლიერი.

(მიღის.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ე მ ვ ს მ

ბ ა რ ო ნ ე ს ა

რად უყვართ ქალის ღირსებასთან ხუმრობა ასე?
სიმაართლე შეთქვა? თავს მომპრიდა მთელ ქვეყანაზე,
ჩემო თავადო! მაშ მშვიდობით! ველარ დამცინებ...

რად გინდა თვალი აგიხილო? ღმერთო, მაცილე!
ეს მიკვირს — რატომ მის სამაჯურს წავაწყდი მაშინ?
ღიახ, ასეა... წინაც იყო იმ მასკარადში.

ჰა, უცთომელი ამოცნობა მთელი შარადის.
არ ვიცი რატომ... მაგრამ მაინც მიყვარს თავადი.
იქნებ მიზეზი მოწყენაა და როცა ფრთები
ისევ გაგშალე, ელვამ დამკრა და ვიფერფლები.
არა არის რა ჩემთვის ქვეყნად გულგასახარი...
და აი მესმის უსულგულო ხალხის ხარხარი,
მასთან ჩურჩულიც ბოროტეულ შებრალებსა...
ოჰ, არა, არა, თავს დავიხსნი ამ შერცხვენისგან.
თუნდაც სხვის ხარჯზე, თუნდაც ახალ ჩემს შეცოდებას
ჩემგან დასჭირდეს საზღაურად ქენჯნა... გოდება.

(ჩაფიქრდება.)

საშინელების ეს რა გრძელი ჯაჭვი გაიბა.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ე მ ვ ი დ ი

ბარონესა, შპრიხი.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ჰა, თვითონ შპრიხიც... კარგ დროს გაჩნდი.

შ პ რ ი ხ ი

დიდ პატივს დამდებთ,
თუ თქვენ ისურვებთ, გემსახუროთ თავდადებამდე.
აწ განსვენებულ თქვენს მეუღლეს...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ნუთუ შენ ასე
თავაზიანი ხარ ყოველთვის?

შ პ რ ი ხ ი

ცხონებულ ბარონს...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ხუთი წლის წინათ, მახსოვს...

შ პ რ ი ხ ი

მივეც ერთი ათასი.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

და პროცენტები შეგიძლიათ დღეს ჩაიბაროთ.

შ პ რ ი ხ ი

რას ბრძანებთ... ფული არ მჭირდება, წარსულს ვიგონებ...
სხვა სიტყვას მოჰყვა...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

თქვი, ახალი რა ამბავია?

შ პ რ ი ხ ი

ერთ გრაფთან ვიყავ... რა ამბები არ გავიგონე..
სულ წუთის წინათ... ო, ამბავი უამრავია.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

არაფერი თქვეს ზვეზდისისა და არბენინის
ცოლის შესახებ?

შ პ რ ი ხ ი (შეფიქრიანებული)

არაფერი... ო, როგორ არა...

ახლა დაჩუმდნენ... თავის დროზე იყბედეს ბევრი...

(თავისთვის)

როგორ გამომჩა, არაფერი გამიგია რა...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

თუ ეს ამბავი ქვეყანამ იცის,
არცა ღირს ამის განმეორება.

შ პ რ ი ხ ი

და მაინც მინდა ვიცოდე ისიც,
აქ როგორ განსჯის თქვენი გონება.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

უკვე განსაჯეს... ქვეყნის მსჯავრი ძალაში რჩება.
თუმცა ორთავეს მე მივეცემდი ანაირ რჩევას...
თავადს ვეტყვოდი, მამაკაცში ქალი აფასებს
შეუპოვრობას ყველაზე უფრო,
ხამს დაბრკოლება სძლიოს ათასი,
ოცნების საგანს რომ დაეუფლოს.
ქალს ვუსურვებდი: კაცთან იყოს უფრო კეთილი
და უფრო ფრთხილი... მოსიე შპრის! მშვიდობით ახლა!
მიმეჩქარება — დღეს სადილად დამ დამიძახა.

(მიდის, თავისთვის)

უკვე გადავჩი, დიდად მარგებს ეს გაკვეთილი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი რ ვ ი

შ პ რ ი ხ ი (მარტო)

ნუ გედარდება... სულ მივიხვდი მაგ შენს ქარაგმებს:
ამ ახალ ამბავს ჩემს ენაზე რა დაამაგრებს.
აი სისწრაფე ვონებისა, გამოცდილება...
აქ ინტრიგა... ჩავერევი აუცილებლად.
ამით უთუოდ ვაამებ თავადს,
მის აგენტობას ვიკისრებ თავად.
მერე იქიდან გულდამშვიდებით
ახალ ამბებით აქ მოვფრინდები.
და იქნებ ვალი როგორმე მომცეს,
ერთად ავიღებთ ხუთი წლის პროცენტს,

გამოსვლა პირველი

(არბენინის კაბინეტი.)

არბენინი მარტო, შემდეგ შემოდის მსახური.

არბენინი

ექვი სწორია... დამტკიცებას საბუთი უნდა:
ვშიშობ არ შევცდე — თავდაპირველად ეგზომ ძნელია.
მაშ დავივიწყო წუთიერი ეს აბლაუბა?
ასე სიცოცხლე შავ საფლაგზე საშინელია.
არიან ზოგნი — მათი სული ქცეულა ყინვად...
ქეჭა-ქუხილშიც ამ ნეტარებს მშვიდობით სძინავთ,
მშურს მათი ყოფნა...

მსახური (შემოდის)

ვილაც იცდის დიდი ხანია,
ქალბატონისთვის მას ბარათი მოუტანია —
სწერსო კნენია...

არბენინი

ა, ვინ კნენია?

მსახური

ვერ გავარკვევ!

არბენინი

ბარათი? ნინას?

(მიდის. მსახური რჩება.)

ათანას პავლოვიჩ კაზარინი და მსახური

მსახური

ფეხზე გაგასწროთ, თუ ცოტა ხანს დაელოდებით...

კაზარინი

კეთილი!..

მსახური

ამ წამს მოვასწენებ...

(მიდის.)

კაზარინი

არაფერია...

თუნდა წელიწადს დაგვიანდეს, რადგან მოვედი...
მოსიე არბენინ. საქმეები მთლად ამერია.
ახლა მჭირდება კაცი მარჯვე და ხელოვანი,
თანაც თუ არის იგი ხშირად დიდსულოვანი,
სამ ათასამდე ყმას თუ აღწევს მისი ქონება,
დიდკაცობაშიც მფარველები თუ ეყოლება.
ისევე თამაშში არბენინის მინდა ჩათრევა,
მან კარგად იცის ძველი ყადრი და მოხატრება.
ხელს გავიმართავს, არ გილაღატებს.
არც შეუკრთება იგი ამ ბარტყებს...
თორემ რასა ჰგავს ყმაწვილკაცობა!
საძრახისია მათი გაცნობაც...
რამდენიც გინდა არ უჩიხინო,
მათ არ იციან საქმის დაწყება,
არც დასასრული იციან მისი,
ვერც თავის დროზე გამოიჩინონ
ბატონსება და სინიდისი.
ვერც თაღლითობენ კეთილშობილად...

ეს მოხუცები კი რა ყოფილან?

ბევრმა ჩინ-მედლებს მიაღწია ბანქოს თამაშით
და ტალახიდან ამოვიდნენ ამ ქვეყანაში;
გაეცვენ ხალხს და გაერიენ დიდკაცთა წრეში,
და იცით რატომ? მათ შეეძლოთ თამაში ეშხით,
ზრდილობიანად მუდამ ბანქო ეჭირათ ხელში
და ყველაფერში იყვნენ მეტად თავაზიანნი,
თამაშის წესებს რომ იცავდნენ ენამზიანნი...
ახლა შეხედეთ, ამნაირი დიდსულოვნებით
მათ მოიპოვეს ღირსება და მილიონები.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ მ ს ა მ მ

კ ა ზ ა რ ი ნ ი, უ პ რ ი ხ ი.

(შემოდის უპრიხი.)

უ პ რ ი ხ ი

აჰ... მიხარია, ათანასე პავლოვიჩს ვხედავ...
საკვირველია, აქ ერთმანეთს რად შევხვდით ნეტავ?

კ ა ზ ა რ ი ა ნ ი

სადარბაზოდ ხარ, არა?

უ პ რ ი ხ ი

სწორედ, თქვენცა?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ცხადია.

უ პ რ ი ხ ი

კარგია შემხვდით. ერთ დიდ საქმეს გაგაცნობთ აქვე...
266

კ ა ზ ა რ ი ნ ი

სულ საქმეს დასდევ ეს ამდენი წელიწადია,
ღღეს კი პირველად გაგჩენია ნამდვილი საქმე.

უ პ რ ი ხ ი

ხუმრობა ძლიერ გეხერხებათ, მაგრამ ეს უფრო
საჭირო არის...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მეც მზადა ვარ, რომ გესაუბროთ.

უ პ რ ი ხ ი

მაშ მოვრიგდებით, მეგობრულად...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ღაიწყე, ვნახავ...

უ პ რ ი ხ ი

ჯერ კი ერთს გკითხავთ, ო, ამ ამბავს ისე განვიცდი...
იქნებ გსმენიათ, თქვენს მეგობარ არბენისს ახლა...

(შუბლზე თითებით რქებს წარმოსახავს.)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

არა... ეგ როგორ შეიძლება! ნამდვილად იცი?

უ პ რ ი ხ ი

გფიცავთ. ეს საქმე მომქრალიყო, თვითონ ვაწყობდი
ხუთი წუთის წინ...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ეშმაკს სად არ გადააწყდები.

შ პ რ ი ხ ი

აი მისმინეთ და ყველაფერს მიხედვებით მაშინ...
არ ვიცი ბალში, თუ წირვაზე, თუ მასკარადში
ამისი ცოლი გასცნობია ერთ ყმაწვილ თავადს.
თავადსაც ქალი მოეწონა სახით, იერით,
და ძლიერ ჩქარა თურმე გახდა ის ბედნიერი,
მაგრამ უეცრად ეს კეკლუცი არსება თავად
შემოსწყრა თავადს, ვერც გიცნობთო, სტკიცა უარი.
მთლად გადირია, მოეკიდა აქ ცეცხლი თავადს,
ყველას უამბო და ქვეყანა განა ყრუ არი?..
უბედურება მოხდებოდა აქ თავისთავად
და მე მომანდეს რომ მომესპო ასეთი დავა.
მეც გამზავებლად მოჩხუბრებში უცებ ჩავვარდი,
დავჩუმდებო, შემომპირდა ფიცით თავადი,
მერე დაჯაბნა მან საჩქაროდ რაღაც ბარათი,
აი, ამ ხელით შევასწორე, კარგად ვერ იყო.
მიმიტანია მონა-მორჩილს, სადაც ჯერ იყო.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

უფროსილდი, შპრიხ! ამნაირი დამსახურებით
არ შეატოვო დღეს არბენის ხელში ყურები.

შ პ რ ი ხ ი

ასეთ საქმეში ჩავრეულვარ?.. ამას ნუ ელით,
ისე გამოვძვერ, არ დამჭირდა არსად დუელი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

არც უცემიხართ?

შ პ რ ი ხ ი

თქვენ სულ ხუმრობთ, მე სხვა კაცი ვარ.
ტყუილუბრალოდ არასოდეს თავს არ გაეწირავ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

და ნურც გაწირავ... შენ ქვეყანა გეთაყვანება,
ეგ ოქრო თავი ყველას დიდად დაენანება.

შ პ რ ი ხ ი

ეს იქით იყოს... მინდა სხვაზე გელაპარაკოთ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მაინც, რას მეტყვი?

შ პ რ ი ხ ი

ამბავია რამ საარაკო.
გრაფ ვრუტისაგან მომიყვანეს ხუთი მწვეარი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

აი ამბავი მართლაც თავის შესაქცევარი.

შ პ რ ი ხ ი

ვიცი, თქვენ გიყვართ ნადირობა, თუ გამისაღებთ,
ო, თქვენ შეიძენთ დიდებულ ძაღლებს.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მგონი ის მოდის, დამეკარგე შენი ძაღლებით...

შ პ რ ი ხ ი

არავინ არი, თუ იყიდით, დაესახლებით.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მაშ ჩემს არბენის რქები აქვს, განა?
ის გააცურეს და დასცინის მთელი ქვეყანა.
ვინღა გაბედავს და შეირთავს ცოლს ამის შემდეგ.

შ პ რ ი ხ ი

ეს თქვენ ძალიან გაგახარებთ, ამაში მენდეთ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ცოლის სიწმინდე და განცხრომა ნეტარებითა,
სულ ზღაპარია... ოჰ, არა, შპრიხ, ცოლს ნუ შეერთავ.

შ პ რ ი ხ ი

დიდი ხანია მე ცოლი მყავს... თქვენც მოიწონებთ,
განსაკუთრებით ერთი მაინც განძია სწორედ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ვინ, შენი ცოლი?

შ პ რ ი ხ ი

არა, ძაღლი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

სულ ეს ძაღლები...

ისევ ჯობია მომისმინო მე ყურადღებით.

ცოლის არ ვიცი — ღმერთმა უწყის თუ ვინ შეგხვდება...
მაგრამ შენს ძაღლებს რაც შეეხება,
გავიძნელდება გაასაღო ამ მისამართით.

(შემოდის წერილით არბენინი. კაზარინი და შპრიხი დგანან ბიუროს
მარცხნივ, ისე, რომ არბენინი მათ ვერ ხედავს.)

ნეტავ რას ფიქრობს, თავდახრილი, ხელში ბარათით?

გ ა მ ო ს მ ლ ა მ ი ო თ ზ ე

კ ა ზ ა რ ი ნ ი, შპრიხი, არბენინი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (ისინი ვერ შეამჩნიან)

აი მაღლობა! განა დიდმა დრომ გაიარა
რაც გადვურჩინე მას ღირსება და მომავალი?

მაშინ მას თითქმის არც ვიცნობდი, კაცი კი არა,
გველი აღმოჩნდა... ვინ ყოფილა, რა სულმდაბალი...
შინ შემომეჭრა ისე როგორც ქურდი ღამისა,
მიმტრო ბოროტად და კერაზე ლაფი დამისხა.
ჩემი ცხოვრების სუსხიანი გამოცდილება
რამ დამავიწყა? ჩემივე თვალის არა მჯეროდა,
და როგორც ხალხში გაუსვლელ ბავშვს, ეს გახრწნილება
თუ არსებობდა, წარმოდგენაც მეძნელებოდა.
ვეფიქრობდი — ქალი დამნაშავე იყო პირველი.
რომ კაცს ის ღამე, ვით სიზმარი გასაკვირველი
დაავიწყდება, უცნობია იმისთვის ქალი...
არ დაივიწყა, ეძია და იბოვა კვალი.
იცნო... არც შედგა. ბევრის მნახველს მომიხდა კიდევ
ქვეყნად ისეთი რამის ნახვა, რომ გამოვიკვირდეს.

(წერილს კითხულობს.)

„გიპოვნეთ, მაგრამ სიმართლის თქმა ჩანს გეძნელებათ...
ზედმეტად ფრთხილობთ — მართალი ხართ და რაღა მე თქმის?
ან რა იქნება ჭორზე უფრო საშინელება?
ხომ შეიძლება ვინმეს ყური მოეკრა ჩვენთვის?
და განა ზიზღი, მხოლოდ შიში და მოკრძალება
ამოვიკითხე თქვენს ცეცხლოვან თვალებში, ქალო...
არ გაგაძულავენთ, რადგან გიყვართ იღუმალება...
დე უმაღლ მოვკვდე, ვიდრე, ტურფავ, შენ გაგეცალო...“

შ პ რ ი ხ ი

ჰა, ის ბარათი... ახლა სრულიად
აქ ყველაფერი განწირულია.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეჰა, ყოფილა გამოქნილი იგი მაცთური...
დიან, პასუხი უნდა გავცე მას ვაუკაცური.
შენ აქ იყავი? (კაზარინს)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

აქ ვარ, გელი მთელი საათი.

შ პ რ ი ხ ი (თავისთვის)

ჯობს ბარონესას მივუტანო მე ეს ამბავი
და როგორც უნდა იტეხოს თავი.

(კარს უახლოვდება.)

ბ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ხ უ შ ი მ

არბენინი, კაზარინი.

(შპრდხი შეუმჩნევლად გაიპარება.)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

შე შპრხისთან ერთად... მაგრამ შპრხისი... საღ გაპარულაჲ

(თავისთვის)

მივხვდი... ბარათი... მიტომ გაძერა იგი ფარულად...

(არბენინს)

ჩაფიქრებულხარ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დიახ, ვფიქრობ...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ნეტავი რაზე,

ალბათ რწმენათა, სიაშეთა წარმავლობაზე...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თითქმის... ჰო, მადლის გადახდაზე...

კ ა ზ ა რ ი ნ ი

სხვადასხვაგვარად

თუმც მის შესახებ არის აზრი, მაინც საგანი

განსჯის ღირსია; გავარჩილთ იმისი არსი...

ეს სულ ერთია, თუ ვინ რა თქვა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

გახოვთ, თქვენი აზრი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მე ვფიქრობ, ძმაო, მადლობის გრძნობა
იმის მიხედვით წარმოიშობა —

რა სამსახურით გაგრძნობინეს სიამოვნება.

თუმცა სიკეთე სურვილს ჩვენსას არ ემონება.

ჰა, მაგალითად, რომ ნათელვყო მადლობის ფასი:

კიდევ მოვუგე სლუჟინს გუშინ ხუთი ათასი,

მეც დავრჩი დიდად მადლობელი, დმერთს გეფიცებ,

და აი როგორ — ვჭამ თუ მძინავს, პატივისცემით

სულ მას ვიგონებ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეჰ, კაზარინ, შენ მუდამ ხუმრობ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

იცი? მიყვარხარ და გულლიად მსურს გესაუბრო.

მხოლოდ ჯერ, ძმაო, კეთილინებე

და აგრე კუშტად ნუ იმზირები.

და მე მზადა ვარ, რომ აგისხნა დაუზარებლად

ამქვეყნიური ჭკუა-სიბრძნის იღუმალება.

მაშ აღიჭურვე მოთმინებით, რადგან გენება

შენ ჩემი აზრი — თუ რა არის მადლიერება.

მე არც დეკარტეს, არც ვოლტერის მინდა ღალადი,

მთელი ქვეყანა ჩემთვის არის ბანქოს ქალაქი...

სიცოცხლე — ბანკი, მე კარტს ვიღებ, ბედი არიგებს.

ბანქოს თამაშს ჰგავს ეს ცხოვრება, ვინც კი გაიგებს.

ჰა, მაგალითად, რომ უფრო ფართოდ

მადლიერება შენ განგიმარტო.

ვარ ცრუმორწმუნე — წინათგრძნობას დიდად ვაფასებ,

გთქვით, გულმა მითხრა, ტუზზე დავდე მთელი ათასი...

არ გამიმტყუნა და მოიგო ტუზმა შემთხვევით.

თუმც გამახარებს, ტუზს მადლობით როდი ვემთხვევი,
არა, ჯიბეში მთელს მოგებას ჩუმად ვათავსებ.
ვჩითავ და ვჩითავ დაუცხრომლად, ხელის დაღლაში...
და მაგიდის ქვეშ დაკმუჭნილი ბანქოს ქაღალდი
აი, ვისროლე, გავასწორე მით ანგარიში,
თურმე არ მისმენ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (ჩაფიქრებული)

ბოროტების ყველგან თარეში,
ყველგან სიცრუე... მე ყეყეჩი ვუსმენდი წუხელ,
რაც მოხდა მაშინ... და ამაზე არც ვუპასუხე.

კ ა ზ ა რ ი ნ ი (თავისთვის)

ჩაფიქრებულა.

(არბენის)

გაეარჩიოთ სხვა მაგალითიც,
და რომ შემთხვევით გზას არ ავცდეთ, სწორედ ამისთვის
მივყვით ნელ-ნელა; ვთქვათ, დავუშვათ—შენ თითქო გნებავს
კვლავ დაუბრუნდე ბანქოს თამაშს თუ ბოროტებას,
მაგრამ კეთილმა მეგობარმა შეგნიშნა წამსვე,
გითხრა — ჰე, ძმაო, არ ვარგა ასე!
თანაც რჩევანი დიდად ბრძნული მან დაგიროშა,
ისეთი — მე რომ არ ვიყიდი გახვრეტილ გროშად...
შენც უნებლიეთ დაუჯერე სიტყვები წრფელი
და ქუდმოხდილმა მას უსურვე მრავალი წელი.
მაგრამ ძმაცაცი, ნუ ლოთობო, რომ დავიშალა,
მყის გამოათვრე, მადლი უყავ მადლისა წილად,
მერე ადექ და მთლად გაძარცვე ბანქოს თამაშში:
ვთქვათ, წაგებიდან მან დაგიხსნა — წამს მასკარადში
წადი, აცდუნე მისი ცოლი ურცხვად, უხათროდ,
რომ ამნაირად ქმარს მადლობა გადაუხადო. †
თუ მის გაკვეთილს უპასუხებ შენც გაკვეთილით,
მაშინ იქნება მართალი და თანაც კეთილი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ხართ დიდებული მორალისტი. (თავისთვის) ჩანს ყველამ იცის...
თავადო, გზლავ, რაც გეკუთვნის ამ შერცხვენისთვის.

კ ა ზ ა რ ი ნ ი (ყურადღებას არ აქცევს)

განსახილველად დავგრჩა მუხლი უკანასკნელი:
ვთქვათ გიყვარს ქალი — მას შესწირე შენი ქონება,
ღირსება, ძმობა, მეგობრობა, სიცოცხლე მთელი,
ეტრფი და ართობ ისე, როგორც მოეწონება.
ყველა ამისთვის რატომ იყოს ის მადლობელი?
რომ გამხდარიყავ მისი მფლობელი,
ეს ხომ საკუთარ სურვილის, ვენების,
და ნაწილობრივ თავმოყვარების
მიზეზთა გამო თვითონ ვენება,
და არა მიტომ, რომ მას მისცე ბედნიერება.
კარგად განჭვრიტე, თუ გონების შუქი გინთია,
ამ ქვეყანაზე ყველაფერი პირობითია.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (ძალზე აღელვებული)

შენ მართალი ხარ... სიყვარულში რას ითხოვს ქალი?
მუდამ, ყოველთვის გამარჯვების ახალ გვირგვინებს...
დე, შენ ეწამე, ემუდარე, მწარედ იგმინე,
შენს მტირალ სახეს გადმოხედავს დამცინავ თვალით.
იგი ბრიყვია, ვინც ოცნებობს დაიმედებით —
ქალში იპოვოს მიწიერი თვისი ედემი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

გხედავ აზროვნებ შენ ძალზე ნათლად,
თუმც ცოლი გყავს და ბედნიერი ხარ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ნუთუ მართლა?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

არა?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო... დიას... ბედნიერი.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ეგ მიხარია...

თუმც ცოლი რომ გყავს, ამას ვნანობ დიდი ხანია.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რატომ?

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ეს ისე... მაგონდება წარსული ჩვენი,
როცა დროს ერთად ვატარებდით ისეთი ღვინით...
კარგად არ მახსოვს დანახარჯებს თავს ვინ იღებდა,
თუმც ჩვენ თავიან ყმაწვილების გვექონდა დიდება.
ო, რა დრო იყო! განსვენების, განცხრომის დილა...
ღვინით გათვალ წინა დამეს ვიგონებთ ტკბილად.
შემდეგ სადილი: თლილ ჭიქებში ელავს, ინთება
შუშხუნა ღვინო — ეს რაჟლის სახელ-დიდება...
ციკვა, სიმღერა, საუბარი გაჩაღებული,
და სიტყვა სიტყვას მოსწრებულად დაჯანებული...
ბოლოს თეატრი... სული მითრთის ამ მოგონებით...
მახსოვს: რამდენჯერ მოცეკვავე ის გოგონები
კულისებიდან გავიტყუეთ... მათი ქღურტული
ო, მაშინ სჯობდა — დამერწმუნე ძმაო, ამაში...
დაეშვა ფარდა... ჩვენც მივექრივართ როგორც **შურდულნი**...
მეგობრობის სახლი... ჰა, შევადეთ, უკვე თამაში
გახურებულა... მაგიდაზე ოქროს მთებია...

ერთი მკვდარსა ჰგავს — სახე ისე გაჰფითრებია,
მაგრამ მეორეს მოსდებია თითქოს ანთება...
ჩვენც ჩავუჯექით... მკაცრი ბრძოლა გაიმართება,
და აი, სულში, წამს ვნებათა და შეგვრძობათა
შემოიჭრება საოცარი კორიანტელი,
ხან კი აღვზნებულ გონებაში ჭახრავს მომართავს
ვევბერთელა აზრი ნათელი...
და თუ შენ მტერზე გაიმარჯვებ ხერხით, ოინით,
ბედს აიძულებ, რომ შენს ფერხთან განირთხეს წყნარად,
ო, მაშინ თვითონ ნაპოლეონიც,
მოგეჩვენება სასაცილოდ და შესაბრალოდ...

(არბენინმა ზურგი შეაქცია.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვინ დამიბრუნოს, ო, იმედნი დაუცხრომელნი!
ჩემი მშფოთვარე სიყმაწვილის დღენი ცხოველნი!
მე მათში მივეცემ უმეცარის ბედნიერებას,
უღარდღელობას, სიმშვიდესა და განსვენებას.
თუმცა... ჩემთვის... აწ ესენიც არ იქნებიან...
ქმრობა, მამობა, რა ცდუნებამ მაფიქრებინა
მე, ვინც სიბილწის, ბოროტების სიტკბო ყოველი
ვიგემე, ვიყავ მათ წინაშე შეუკრთომელი...
აწ გამეცალე, აღარ გიცნობ, შენ, სათნოებავ!
შენც მომატყუე, შენც ყოფილხარ ამოუება...
უნდა დავმორდეთ... რა ცოტა ხნით მომიჩვენებინარ?!
გემშვიდობები... ჰე, მშვიდობით!

(სკამზე დაეშვება, ხელებით სახეს დაიფარავს.)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ახლა ჩემი ხარ!..

(თავადის ოთახი. ოთახის გაღებული კარიდან მოჩანს მეორე ოთახი, სავარძელში სძინავს თავადს.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა კ ი რ ვ ე ლ ი

ივანე. შემდეგ არბენინი

(მსახური საათს შეჰყურებს.)

ი ვ ა ნ ე

შვიდი შესრულდა. საათის რვაზე
გამაღვიძეო — მიბრძანა ასე,
უცხო ყაიდის ძილი აქვს განა?
არა, ბატონი რუსულად ხვრინავს.
დუქანში შესვლას მოვასწრებ მანამ,
კარებს დავადებ ბოქლომის რკინას,
საიმედოა, ასე სჯობს ლოდინს.
მაგრამ... სუ... ვილაც კიბეზე მოდის.
მაშ მეც მოვკურცხლავ... მიგვიანდება.
ვეტყვი, რომ იგი შინ არ ბრძანდება.

(შემოდის არბენინი.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თავადს აცნობეთ.

მ ს ა ხ უ რ ი

შინ არ გახლავთ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ტყუილებს ჩმახავ.

მ ს ა ხ უ რ ი

ხუთი წუთია, გაემგზავრა...

არა, ის ახლა

(კაბინეტზე მიუთითებს)

აი, იქ არის... ალბათ სძინავს ტკბილად და წყნარად...
გესმის? ის სუნთქავს...

(თავისთვის)

და ეს სუნთქვაც შეწყდება ჩქარა.

მ ს ა ხ უ რ ი

გამაღვიძეო, როდი უთქვამთ... (თავისთვის) მას თურმე ესმის...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჩანს ძილი ძალზე ჰყავრებია, მით უკეთესი.
მას ალბათ ძილი მოუხდება უკუნისამდე.

(მსახურს)

მე ხომ გითხარით, აქ დავუტედი გადავიძებამდე!..

(მსახური მიდის.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო რ ე

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მარტო)

ის დროც დამიდგა, ან ახლა და ან არასოდეს!
სწრაფად, უშიშრად აღვისრულე, რაც ასე მინდა...
მე დავამტკიცებ — და ქვეყანას დაამახსოვრდეს,
რომ ერთ სულს მაინც ამ თაობიდან,
რომელშიც მოხვდა ბილწი თესლი შეურაცხყოფის,
უთუოდ ძალუძს მისცეს ნაყოფი.
განა მონა ვარ, მათ წინაშე თავი დავხარო,
ქვეყანა შევიძრა და დუელში ბილწი ქმნილება
გამოვიწვიო, მერე ჩემზე რომ იხარხარონ.
არა, მე სხვა ვარ, ახლა აღარ გაცინებათ.

შერცხვენის წუთიც უპასუხოდ არ გამიცდება,

(კარს უფრო ფართოდ გამოაღებს.)

სძინავს... რას ხედავს ის სიზმარში უკანასკნელად?

(შემზარავი გაღივება)

უთუოდ დამბლით გარდაიცვლება.

გადმოვიღებულ თავს ძარღვებში სისხლი ასკდება.

მივეშველები... რომ ჩაექცეს... და უწვალებლად

სულ ბუნებრივი აქ მოხდება ფერისცვალება.

(შედის ოთახში, ორი წუთის შემდეგ გამოდის გაფითრებული.)

არა, ეს საქმე ჩემს ძალ-ღონეს აღემატება!

(სიჩუმეა.)

მთლად აცახცახდი... ასე მხოლოდ პირველად მომდის.

დიდი ხანია რაც მე თავის მოლაღატე ვარ?!

ვაი სირცხვილო! ლაჩარი ვარ, და მერე როდის?!

მე და ლაჩარი? ეს ვინა თქვა, ეს განა მე ვთქვი...

საცოდავი ვარ... მაშ გაიქეც, ო, გასწი-მეთქი...

შორს გარდისხვეწე, საძულველო, ლანდო კაცისავე!

მიწას, ვით სხვანი, საუკუნემ შენც დაგასრისა...

განდი ჯაბანი შენც უღელქვეშ განათლებისა!

თურმე თავს თვითვე იტყუებდი კევხნით ფიცხელი,

შენ სიყვარული ვერ შეძელ... და შურისგებისას

ხელი დაუშვი... მოხველი და ვერ შეიძელი.

(დაჯდა)

ჰო, ავფრენილვარ მე ძლიერ მაღლა...

სჯობს უფრო სწორი გზის გამონახვა.

ნაწამებ მკერდში ვგრძნობ — თითქოს ახლა

სულ სხვა განზრახვა გამოისახა.

ღიან... ჰო... ღიან... ის იცოცხლებს... აღარც მისდევენ

კაცის კვლას ახლა... მკვლელს საჯაროდ ჩამოჰკიდებენ.

სხვა დრომ დამბადა... განათლების ვარ მიმდევარი.

სიტყვა და ოქრო — აი შხამი და სატევარი.

(აიღო კალმისტარი და ბართი დაწერა. წასასვლელად ემზადება.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ს ა მ ი

არბენინი და ბარონესა:

(არბენინი კარებში პირბადიან მანდილოსანს შეეჩხება.)

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

ოჰ... დავიღუბე?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რაო? რა თქვით?

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

(ცდილობს თავი დააღწიოს)

გამიშვით-მეთქი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს ხმა გასასყიდ სათნოების სასოწარკვეთილ,
ფარისევლურ ხმას არ უნდა ჰგავდეს...
(მუქართ) ო, ხმა გაკმინდეთ, თორემ ახლავე...
აქ ჩვენ ორნი ვართ... მოიხსენით ჩქარა პირბადე!
რა ეჭვმა გამკრა! ჩქარა! ვიდრე დაგვინახავენ...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

მე სხვაგან მოვხვდი... შემეშალა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მეც ასე ვხედავ...

ღიან, თქვენ ოდნავ დრო შეგშლიათ... არა ადგილი.

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

არა, არ გიცნობთ... ოჰ, გამიშვით!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რა გაერთობთ ნეტავ!

ჩამოიხსენით... მსურს ვიცოდე მე სინამდვილით.
თუმც ისეც ვიცი... თქვენი სახე უნდა მაჩვენოთ,
ვიდრე მას სძინავს...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

კარგად იცით?!

(არბენიმა მას ბღრბადე ჩამოჰგლიჯა, განცვიფრებულში უკან დაიხეცს,
მერე გონს მოვა.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ო, ღმერთო ჩემო!

გმადლობთ, რომ ახლა ეს შეცდომა მარგუნე ბედადი!

ბ ა რ ო ნ ე ს ა

რა ჩავიდინე? ყველაფერი დავლუპე ერთად.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რადას გიშველით შეშფოთება: სწორი თქვას კაცმა,
მართლაც არ არის ეს სასურველი:

ცეცხლოვან ხვეენას ელი... და ნაცვლად
დაგიხვდებიან გაყინულ ხელით.

წამით შეკრთებით... ეს არც ისე საშინელია...
მზად ვარ დაეჩუმდე... ღმერთს უმადლე, ვარ თავმდაბალი,

აქ ჩემს ადგილზე სხვა რომ იყოს, უეჭველია;
ახლა ქალაქში იქნებოდა მთელი ამბავი.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

აჰ! გაიღვიძა... ლაპარაკობს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სიზმარში ბოდავს...

დაწყნარდით! წავალ... მხოლოდ მითხარ, ის კუპიდონი

რით დაგეუფლათ, რამ მოგხიბლათ... რა ძალა ჰქონდა?

უგრძნობელია იგი ისე, როგორც ლითონი.

ნუთუ იმისთვის მთლად დაგიყდნენ ქვეყნის ქალები?

რატომ თქვენს ფერხთან თვით არ ფორთხავს, აკანკალებით

არ გეფიცებათ, გევედრებათ ცრემლად გამლზვალი?

თქვენ კი... აქ, მარტო... დედაკაცი სულით მაღალი

მოსულხართ იმას რომ დანებდეთ ურცხვი ალერსით,

რატომ სხვა ქალიც, სილამაზით არც უარესი

მზად არის მისცეს მას ყოველი დაუნანებლად;

თვისი სიცოცხლე, სიყვარული და ნეტარება

ერთი მაცდური სიტყვისათვის, გაღიმებისთვის...

რატომ? ბრიყვი ვარ! (გაშმაგებით) რისთვის? ო, რისთვის...

ბ ა რ ო ნ ე ს ა (გაბედულად)

გავიგე რაზე ლაპარაკობთ... და ვიცი ისიც,

თუ რად მოსულხართ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს ვინ გითხრათ? (გაანსენდა) რად ამბობთ ასე?

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ო, გევედრებით! მაპატიეთ!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ბრალს ცოდვებისთვის

არ გდებთ, პირიქით, მომწონს, ზრუნავთ ჩემს მეგობარზე.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ვნებით დავბრმავდი... ყველაფერში მე დამდეთ ბრალი...

რატომ არ მისმენთ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენი გული ვისთვის დნებოდა,

ჩემთვის ერთია. მე მტერი ვარ მკაცრი მორალის...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ო, მე რომ არა, ის ბარათიც არ იქნებოდა...
არც ნი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ო, ეს მართლაც მეტისმეტია!..
როგორ? ბარათი! რა ბარათი? მაშ თქვენ ისა ხართ?
თქვენ ასწავლიდით... თქვენ შეჰყარეთ ისინი განა?
დიდი ხანია ეს ხელობად რაც დაგისახავთ?
რამ გაიძულათ გასარყვნელად აქ მოგეყვანათ
უბიწო მსხვერპლნი? თუ ღრეობას იქ, თქენთან მართავთ...
თქვენთან მოდიან ყმაწვილნი წყებად...
უნდა გაგიტყდეთ — თქვენ სასტუმროს განძი ხართ მართლაც...
აღარ მათცებს მე ჩვენს ქალთა გათახსირება.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ო, ღმერთო ჩემო!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არ გეგონოთ გეპირფერებით...
ქირად ამისთვის რას გიხდიან მაღლიერები?

ბ ა რ ო ნ ე ს ა (სავარძელზე დაეშვება)

რა უწყალო ხართ!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო, ბოდიში... შეეცდი და ვნანობ...
ემსახურებით ალბათ ყველას თქვენ უანგაროდ.

(სურს წავიდეს.)

ბ ა რ ო ნ ე ს ა

მე შევიშლები... მოითმინეთ... რად აღარ მისმენთ?
მაინც მიდისხართ... მე ეს მომკლავს...

ა რ ბ ე ნ ე ნ ი

განაგრძეთ ისევ...

ასეთ ღვაწლისთვის თქვენ მოგელით სახელ-დიდება...
აი, მივდივარ... ჩემი აღარ შეგეშინდებათ...
ო, ღმერთმა ნუ ქნას... აღარ შემხვდეთ აწი აღარსად...
მე თქვენ გამძარცვეთ, თქვენ წამართვით ქვეყნად ყოველი...
მყუდრო ადგილას მიმალულს თუ გზად მიმავალსა,
თუ მაღალ წრეში, მუდამ, ყველგან, დაუცხრომელი
მე თქვენ კვალში გდევთ... შეგხვდებით და... ვაი თქვენ მაშინ!
მოგკლავდით... მაგრამ სიკვდილია ჯილდო, რომელიც
კვლავ დამჭირდება, რომ მივუძღვნა სხვას მომავალში...
თუმც ჯოჯოხეთურ წამებისთვის თქვენ გამიმეტეთ,
მაინც სათნო ვარ... ჰა, გიტოვებთ მიწიერ ედემს.

(მიდის.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო თ ხ ი

†ზარონესა მარტო.

ბ ა რ ო ნ ე ს ა (მისძახის არბენის)

ის უბრალოა... გეფიცებით... გთხოვთ, გამიგონოთ...
ის სამაჯურიც... შეცდომაა... საშინელება!
სულ მე ვარ, მე ვარ... დამნაშავე აქ მე ვარ მხოლოდ...
უკვე წავიდა... არც მისმინა... რა მეშველება...
ბედმა გაგვწირა, მაგრამ მაინც ვერ შევჩერდები...
დე, ძვირად დაჯდეს... მას დავიხსნი... ცრემლით, ვედრებით,
მთელს ამ სიყალბეს გავუშყლავენბ აუცილებლად.
უნდა გავბედო... ადგა, მოდის... ო, დამცირება!

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ხ უ თ ი

ბარონესა და თავადი.

თ ა ვ ა დ ი (მეორე ოთახიდან)

ვინ არის, ივანე რა ხალხია... რა მასლაათი...
რად არ მაცალეს მძინებოდა ერთი საათი?

(შემოდის)

ეს ვინ მოსულა! მიხარია... აი მშვენება!

(იცნობს, უკან დაიხვეს.)

აჰ... ბარონესა? არა, ალბათ ეს მეჩვენება...

ბ ა რ ო ნ ე ს ა (მისუსტებული ხმით)

რად დაიხიეთ? გოცდით, არა?

თ ა ვ ა დ ი (დაიბნა)

დიახაც, ამან რომ გამახარა...

სულ არ ველოდი ამ სიხარულს, რომ თქვენ პირველი...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ეს მოლოდინი იქნებოდა გასაკვირველი.

თ ა ვ ა დ ი

რას ვიფიქრებდი? რომ მცოდნოდა...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

თუმცა შესაფერი

მიზეზიც გქონდათ, ვერ გაიგეთ თქვენ ვერაფერი.

თ ა ვ ა დ ი

გამოვისყიდო მინდა ჩემი დანაშაული...

მზად ვარ... დამსაჯეთ ყოველგვარი საშინელებით...

ვიყავ ბრმა, მუნჯი... არ მეგონა ეს სასწაული...

აქ სიტყვაც ველარ მომინახავს...

მაგრამ ხელები

რამ გაგიყინათ? თქვენს სახეზე ჩანს მწუხარება...

ნუთუ არ გჯერათ ეს აღსარება?

ბ ა რ ო ნ ე ს ა

თქვენ შემცდარი ხართ... თუმცა აქ მოველ, მე განა მინდა

თქვენგან ვითხოვო სიყვარული და აღსარება?

ან დავივიწყო კვლავ სირცხვილი და მოკრძალება,

ის, რაც გვჩვევია? არა, ახლა ვალი მაქვს წმინდა.

ცხოვრება ძველი მე გამიფრინდა

და სხვა ცხოვრება წინ მელოდება.

წარსულში ვიყავ მე მიზეზი ბოროტებისა,

და ამ ხალხისგან სამუდამოდ განშორებისას

მსურს მოვიწინო ეს შეცოდება.

მზად ვარ გავუძლო ამ შერცხვენას... დე შემაჩვენონ!..

თავს ვერ ვუშველე — და სხვა მაინც გადავარჩინო.

თ ა ვ ა დ ი

რას ნიშნავს ესა?

ბ ა რ ო ნ ე ს ა

ხელს ნუ მიშლით! ჩემსავე თავთან

დიდ ბრძოლის შემდეგ თქვენთან მოველ... და გეტყვით

მართალს:

ახლაც არ იცით — რომ მიზეზი თქვენა ხართ მარტო

ჩემს წამებათა და მაინც ვნატრობ

თქვენს გადარჩენას, ო, რისთვის, რატომ?

თვითონ არ მესმის... თქვენ არა ხართ ამ მსხვერპლის ღირსი,

თქვენ არ შეგეძლოთ გაგება სხვისი,

სიყვარული თუ გულის მინდობა,

რაც შეიძლება არც კი მინდოდა,

მაგრამ მისმინეთ... ეს ამბავი ღლეს გავიგონე...

თუ სად, ვინა თქვა, არ გვჭირია ახლა სრულებით...
მიგიწერიათ არბენინის ცოლისთვის ვგონებ
გუშინ ბარათი... და ხალხის ჭორს თუ ვერწმუნებით,
თქვენ მას უყვარხართ... სიცრუეა, სიცრუე მხოლოდ...
ღვთის გულისათვის, არ ვერწმუნოთ... ო, ამის თქმამაც
შესაძლო არის ყველას ერთად მოგვიღოს ბოლო.
ქალმა არ იცის არაფერი, მაგრამ თვით ქმარმა
წაიკითხა და... ჯერ სულ ყმაწვილს რა გელოდებათ...
უკვე აქ იყო... ჩვეულება ის ბოროტებას,
საშინელია სიყვარულში და სიძულვილში...
იგი თქვენ მოგკლავთ...

თ ა ვ ა დ ი

ამაოა ეგ თქვენი შიში.

არბენინს ხალხში უცხოვრია, ჭკუაც მეტი აქვს...
გახმიანება შეუძლია აქ მხოლოდ სულელს.
ვიცი უმიზნოდ, უმიზეზოდ ფუჭ კომედიას
იგი სისხლისღვრით არ დაასრულებს.
და თუ გაბრაზდა... დიდი საფრთხე აქაც არა ჩანს...
გაგვიტენიან ჩვენ ორ დამბაჩას,
გადიზომება წამს ნაბიჯი ოცდათორმეტი...
არ მიმიღია სილაჩრისთვის ეს ეპოლეტნი.

ბ ა რ ო ნ ე ს ა

მაგრამ თუ თქვენს თავს სხვა ვერ დასთმობს ასე უბრალოდ...
მას მეტად უღირს... გადაგებათ იღუმალ ძალით...
მერე, რომ მოგკლან... თქვენ რომ მოგკლან... ჰოი, უფალო!
და ეს იქნება სულ ჩემი ბრალი...

თ ა ვ ა დ ი

თქვენი? რას ამბობთ?

ბ ა რ ო ნ ე ს ა

შემიბრალეთ!

თ ა ვ ა დ ი (დაფიქრების შემდეგ)

ღუელი მარტო...

დამნაშავე ვარ, მე შევვლახე ღირსება ქმარის...
თუმც უნებლიეთ... მაგრამ თავი რით გავიმართლო?
არავითარი საშუალება არ არის...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

არის.

თ ა ვ ა დ ი

ვიცრუო, არა? განა ესა... სხვა გზა მასწავლეთ...
ტყუილის ფასად ვიცოცხლო და... რა დამერქმევა?
ახლავე წავალ...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

მოითმინეთ... გთხოვთ... ერთი წამით.

(ხელში ხელს ჩაჰკიდებს.)

ყველანი შეცდით! იმ ნიღბში! ის ქალი...

(მაგდას დაეყრდნობა, დაეცემა.)

მე ვარ...

თ ა ვ ა დ ი

როგორ... ეს თქვენა? ჰოი განგება!

(სიხუმე.)

მაგრამ შპრიხმა თქვა... ყველაფერი მისი ბრალია...

ბ ა რ ო ნ ე ს ა

(გონს მოდის... უკან დაიხია.)

მე დამაბრმავა წუთიერმა ჩემმა აღვზნებამ...

ოი, სიგიჟე საშინელი... ვნანობ ძალიან...

19. მ. ი. ლერმონტოვი

ახლა ის გაქრა... დაივიწყეთ თქვენაც ყოველი...
მას სამაჯური დაუბრუნეთ... ბედის ძალებმა
რალაც შემთხვევით მე გამხადეს მისი მპოვნელი...
გთხოვთ შემომფიცოთ — ეს დარჩება იღუმალეზად.
მე ღმერთი განმსჯის, ის შეგინდობთ შეცოდებასა...
თქვენ კი არ ძალგიძთ მომიტევოთ ცოდვანი ჩემნი...
აი, მივდივარ... ვიცი ველარსად
ველარ შევხვდებით...

(კარებს მიუახლოვდა. შეამჩნია, რომ თავადი აპირებს მას აედევნოს.)

არ ამედევნოთ!

(მიდის)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე მ მ ვ ს მ

თავადი მარტო

თ ა ვ ა დ ი (კარგა ხნის ფიქრის შემდეგ.)

აქ რა ვიფიქრო, სწორედ არ მესმის...
მაინც აქედან ჩემთვის უკვე გასაგებია,
რომ ვით მოწაფეს, შემთხვევანი უნეტარესნი
თურმე ამაოდ მეკარგებიან.

(მაგიდას მიუახლოვდა.)

ა, ეს ბარათიც... ვისგან არის? სწერს არბენინი.

(კითხულობს)

„ძვირფასო თავადო! დღეს სალამოს მობრძანდით №-
თან... იქ იქნება ბევრი... და ჩვენც დროს მხიარულად
გავატარებთ. მე არ ვისურვე თქვენი გაღვიძება, — ასე
რომ მექნა, მთელს სალამოს თვლემას ვერ მოიშლიდით.
ნახვამდის, აუცილებლად მოდით. გულწრფელად თქვენი
ეგვენი არბენინი“.

ახლა კი მმართებს, რომ განვკვირტო თვალსხივიანად...

იქნება მართლაც გამოწვევას ჰგავს ყველაფერი.

სად გაგონილა, დუელის წინ, თავაზიანად,

ვახშმად გიწვევდეს მოსისხლე მტერი?
მართლაც აქ დიდი სიფხიზლე მმართებს,
ვინ იტყვის, თითქოს ეს ოინია?
სად გაგონილა, რომ დუელამდე,
ვახშმად გეძახდნენ ზრდილობიანად?

ს ც ა ნ ა მ ი ო თ ხ მ

(№-ის ოთახი)

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ ვ მ ლ ი

კ ა ზ ა რ ი ნ ი, მ ა ს ბ ი ნ ძ ე ლ ი და ა რ ბ ე ნ ი ნ ი (სხდებიან ბანქოს სათამაშოდ.)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

მაშ შენ უცნაურ ახირებას ტოვებ სრულიად,
მაღალთა წრეში თავი მოსწონთ რითაც ყოველთვის.
ისევ წინანდელ გზას დაადექ, დიდებულია!
მომწონს ეგ აზრი. უსათუოდ შენ ხარ პოეტი,
და უნათლესი მაღლიც გფენია,
ყველა ნიშნებით შენ ხარ გენია;
შენ უკვე გახრჩობს
ოჯახის ჩარჩო.

ძვირფასო ძმაო! ჩამოგართვა მსურს ხელი მაგრად...
ჩვენი ხარ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენი! იმ წარსულის ჩრდილიც კი გაქრა.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

აი, ეგ მომწონს, როცა კაცი აზროვნებს სალად...
ვისაც კი ესმის, ამ ცხოვრებას თუ რა ფასი აქვს,
მისთვის სინდისი ბორკილებზე მზარავი გახლავთ.
დღეს საზიაროდ ვითამაშებთ, თქვი, ხომ ასეა?

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი

თავადი ცოტა უნდა გავბდღნათ.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ჰო, ასე ითქმის (თავისთვის)
იქნება შეხლა სასეირო და უჩვეულო.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი (გარედან ხმაური მოისმის.)

აი კარტაც...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ეს ის არის.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

შენ ხელი გითრთის.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არაფერია. ალბათ თამაშს გადავჩვეულვარ.

(შემოდის თავადი.)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო რ ე

კაზარინი, მასპინძელი, თავადი, არბენინი.

მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი

აჰ, თქვენც, თავადო! მიხარია, დავეიდოთ ხმალი.
და გთხოვთ დაბრძანდეთ უბოდიშოდ. განა ლხინია?
დიდი ომი გვაქვს.

თ ა ვ ა დ ი

მეც ვიქნები, ვით მაცქერალი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ალბათ მას შემდეგ თამაშისა თქვენ გეშინიათ.

თ ა ვ ა დ ი

რატომ... მე თქვენთან არ შევშინდები...

(განზე)

როგორც მაღალ წრის წესად წერია,
ცოლს უკან დავდევი, ქმარს ვეფლიდები...
იქ თუ მოვიგე, აქ წაგება არაფერია.

(ჯდება.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დღეს თქვენთან ვიყავ.

თ ა ვ ა დ ი

წავიკითხე თქვენი წერილი,
ხედავთ? მორჩილ ვარ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ერთი ქალი ზედ სახლის კართან
წინ შემეფეთა მთლად მთრთოლვარე და დარცხვენილი.

თ ა ვ ა დ ი

თუ შეიცანით?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (იცინის)

დიახ... ვგონებ ნაცნობ ქალს ჰგავდა...
ჰოი, თავადო, ხართ მაცდური, საფრთხილო მეტად,
ყველაფერს მივხვდი, გამოვიცან...

თ ა ვ ა დ ი (თავისთვის)

ტყუის, სრულებით

არ გაუგია არაფერი, მე როგორც ვხედავ.

(მიდის, ხმალს კუთხეში მიაყუდებს.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჩემს ცოლს ეტრფოდეთ, ამას სწორედ არ ვისურვებდი.

თ ა ვ ა დ ი (დაბნეულად)

ამას რად ამბობთ?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რადგან ჩემში არ იბოვება
აშვიებისთვის სანატრელი ქმრის სათნოება.

(თავისთვის)

სულაც არ შეკრთა... დროა უხამი რომ შევაპარო...
ჰა, შე სულელო, მთლად დაგინგრევ შენს ტკბილ სამყაროს,
სულის ჩამოსვლას დღეს ბანქოში თუ დააპირებ,
მეც სულს ჩამოვალ შენი სულის მოპირდაპირედ.

(თამაშობენ. არბენინი კარტს არიგებს.)

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ვდებ ორმოცდაათს...

თ ა ვ ა დ ი

ამდენივე ჩემგანაც მოდის.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

აი, გიამბობთ ერთ ანეკდოტს, ეს ანეკდოტი
გაგონილი მაქვს ჯერ კიდევ ყმაწვილს
და ეს ამბავი სულ მიდგას თვალწინ.
ერთ რომელიღაც ჩინებულ კაცს, ცოლიან კაცსა, —
კაზარინ, შენი მოგებაა... — ცოლიან კაცსა
სწამდა ცოლის და მის სიწმინდეს გული დაანდო.

თვლემდა, ცხოვრება ტკბილ, უზრუნველ ძილს დაემსგავსა,
რატომღაც დიდი ყურადღებით მისმენთ, თავადო,
და შეიძლება ბოლოს დარჩეთ თქვენ წაგებულნი...
ცოლიც ყოფილა სათნო, ქმარზე შეყვარებული,
ცხოვრობდნენ მშვიდად, სხვა სიკეთეს დაერთო ისიც,
რომ უღარდელ ქმარს მეგობარი გაუჩნდა, ვინაც
თითქმის მოსწონდა ღირსებითა და სინიდიხით...
მან ის ოდესღაც დიდ განსაცდელს გადაარჩინა.
ბოლოს რა მოხდა... ყველაფერი წავიდა არმად...
ქმარმა გაიგო, რომ ძვირფასმა იმ მეგობარმა
გადაუხადა მას ამაგი ძალზე ლამაზად:
თურმე იმის ცოლს სამსახური მან შესთავაზა.

თ ა ვ ა დ ი

ქმარმა რაღა ქნა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (თითქო შეკითხვა არც გაუგონია)

რად ივიწყებთ თამაშს, თავადო?...
ბანქოს არც უცქერთ, ამ ამბავმა ისე გაგართოთ.

(თავადს დაჟინებით მიაჩერდება.)

გინდათ გაიგოთ ქმრის პასუხი მეგობრისადმი?
რაღაც წვრილმანზე აუხირდა და უკამათოდ
სილა გააწნა... აქ, თავადო, თქვენ რას იზამდით?

თ ა ვ ა დ ი

ამასვე... მერე სროლაც იყო?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა, თავადო.

კ ა ზ ა რ ი ნ ი

ხმალდახმალ შეხედნენ?

არბენინი

არც ეგ იყო...

კაზარინი

მამ შეარიგეს?

არბენინი (მწარე ღიმილით)

ო, არც ეგ იყო.

თავადი

ქმარმა რა ქნა... ველარ გავიგე.

არბენინი

ქმარმა იკმარა უშურისგება მხოლოდ ამგვარი;
ცოლის მცდუნებელს შეატოვა სილა მაგარი.

თავადი (იცინის)

ეს რა წესია...

არბენინი

რა კანონით, რომელი წესით
განიზომება უშურისგება უსაშინლესი?

(თამაშობენ, სიჩუმეა.)

ოჰო, მოიგო. (დგება) მოითმინეთ... კარტი შეცვალეთ...

თავადი

მე? გამიგონეთ...

არბენინი

აქ თამაში უკვე გათავდა...
სინდის-ნამუსი სად დაკარგეთ... ჩამოგვეცალეთ...

(სულს ძლივს ითქვამს.)

თქვენ ხართ შულერი და არამზადა.

თავადი

მე ვარ? ნუთუ მე?

არბენინი

ნაძირალაჲ! დაღს წარუხოცელს
ქვე დაგასვამ, რომ სალამი აღარვინ მოგცეთ.

(ბანქოს დასტას სახეში მიახლის. თავადი ისეა თავზარდაცემული, რომ
არ იცის როგორ მოიქცეს, არბენინი ხმას დაუწევს.)

ახლა გავსწორდით...

კაზარინი

ეს რა მოგდის? (მასპინძელს) როგორ მიაოცებს...
სად შეიშალა... სანატრელ დროს ველარ აფასებს.
იგი ცხარობდა... ჩასტოვებდა ასიათასებს.

თავადი

(გონს მოდის. წამოდგება)

ახლავ მომყევით, გამომყევით რომ შევებრძოლოთ!..
ამ ჩემს შერცხვენას თქვენი სისხლი წარეცხავს მხოლოდ.

არბენინი

დუელი? ჩემთან? მისამართი თუ აგერიათ...

თავადი

თქვენ ლაჩარი ხართ.

(უნდა მას მივარდეს.)

არბენინი (მრისხანედ)

ეგრე იყოს, არაფერია,
მაგრამ არ გირჩევთ ჩემთან ბრძოლას. ნურც აქ დარჩებით.
მე ლაჩარი ვარ? თქვენ ლაჩარსაც ვერ გადამრჩებით.

თ ა ვ ა დ ი

მე გაიძულე... ჩემთან ბრძოლა თქვენ არ ავცდებთ;
ყველას ვუამბობ... დაუხატავ თქვენს ყოფაქცევას,
რომ მე კი არა, თვითონ თქვენ ხართ ეს არამზადა.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არც ეგ შემაქრობს..

თ ა ვ ა დ ი

(არბენის მიუახლოვდა)

დავუმტკიცებ მე ყველას ცხადად,
რომ მე თქვენს ცოლთან... ფრთხილად! გახსოვთ ის სამაჭური?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თქვენ ამისათვის ხომ მიიღეთ უკვე სასჯელი...

თ ა ვ ა დ ი

მთლად შევიშალე!.. სად ვარ? ახლა ჩემს საგინებლად
აღდგება ყველა... მე თქვენ მოგკლავთ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

გაქვთ ამის ნება.

აი, რჩევასაც გიწყალობებთ... მომკალით მალე...
თორემ აღზნებულ ცეცხლს ცოტა ხანს თუ დააცალეთ,
დაილულდება... ვაჟაკობაც დაგავიწყდებათ.

თ ა ვ ა დ ი

ო, სადღა არის... დამიბრუნეთ ჩემი ღირსება!
სულ ერთი სიტყვა... ო, ღირსება... გთხოვთ, შემიბრალებთ...
ნუთუ თქვენ წმინდა არა გაქვთ რა... ვინ შემაჩვენა...
ვინა ხართ? კაცი თუ დემონი...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მოთამაშე ვარ...

თ ა ვ ა დ ი (სახეზე ხელებშიფარებული დაეცემა.)
ჩემი ღირსება!..

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ის არასდროს დაგიბრუნდებათ.
მთელი ქვეყანა ზურგს შეგაქცევთ და დაღუპდება,
ზღუდე სიკეთე-ბოროტების შუა რღვეულა,
ამიერიდან დევნილის გზით ივლით ეშულად.
ახლა შეიცნობთ თქვენ სისხლიან ცრემლების გემოს.
თვით მახლობელთა სიხარულიც გულს დაგიძიმებთ...
დღითა და ღამით ერთმა ფიქრმა არ მოგასვენოთ,
თანდათანობით სიყვარულის გრძნობას თუ იმედს
ჩაგიქრობთ იგი... ყოველს ნისლი დაეფარება.
ვეღარ შეიძლებთ აღიდგინოთ კვლავ ნეტარება.
ის მოხმაურე მეგობრებიც წამს შეშფოთებით
გაგმორდებიან, ვით გამხმარ ხეს ქარში ფოთლები.
ხელებით სახედაფარული ხალხს წინ ჩაუვლით.
უფრო დაგტანჯავთ ეს შერცხვენა აწ განუკითხავს,
ვიდრე დასტანჯავს ბოროტმოქმედს დანაშაული,
გემშვიდობებით...

(წასვლისას)

და გისურვებთ სიცოცხლეს დიდხანს.

(მიდის.)

მეორე მოქმედების დასასრული

მოქმედება მისამე

სცანა პირველი

ბალი.

გამოსვლა პირველი

დიასახლისი

რომ არ მოვიდეს ბარონესა? ესა მაქვს ჯავრად.
ვინ იცის, მოვა? თქვენ მებრალებით...

პირველი სტუმარი

არ მესმის რატომ.

მეორე სტუმარი

ბარონესა შტრალს ელოდებით? ის გაემგზავრა.

რამდენიმე

სად? როდის? რისთვის?

მეორე სტუმარი

თურმე სოფლად, ამ დღით... მარტო...

მანდილოსანი

ღმერთო! რა მოხდა? თვით ინება თუ რამე უჭირს?

მეორე სტუმარი

ფანტაზიები... რომანები... საქმეა ფუჭი...

(დაიშლებიან. მეორე ჯგუფი მამაკაცებისა.)

მესამე სტუმარი

გაიგეთ? ზეეზდიჩს წაუგია.

მეოთხე სტუმარი

პირიქით, თურმე

მოიგო, მაგრამ სილა სტკიცეს და გაისტუმრეს.
ჩანს ითაღლითა...

მეხუთე სტუმარი

მაშ დუელიც გაჩაღდა?

მეოთხე სტუმარი

არა.

თავადს არ სურდა.

მესამე სტუმარი

ვინ ყოფილა! რა ვიგინდარა!

მეხუთე სტუმარი

მას აღარ ვიცნობ... თითქოს იყოს გადამთიელი...

მეექვსე სტუმარი

აღარც მე ვიცნობ... მაინც რას ჰგავს ეს საქციელი.

მეოთხე სტუმარი

აქ მოვა?

მესამე სტუმარი

არა, უნდა ჰქონდეს შუბლი მაგარი...
რომ ეს გაბედოს...

მეოთხე სტუმარი

უკვე აქ არი.

(თავადი მათ მიუახლოვდა. სტუმრებმა ცივად დაუკრეს თავი ყველანი
გაშორდნენ, გარდა მეხუთე და მეექვსე სტუმრისა. ბოლოს ისინიც
წავიდნენ, ნინა სავარძელში ჯდება.)

თ ა ვ ა დ ი

ასეთ მარჯვე დროს ვერ ვნახავ დიდხანს...
წავიდნენ, დავრჩით მე და ის მხოლოდ.

(ნინას)

ჩემი ვალია ერთი რამ გითხრათ,
თქვენი ვალია, რომ გამიგონოთ.

ნ ი ნ ა

ჩემი?

თ ა ვ ა დ ი

ჰო, თქვენი... მსურს თქვენთვისვე გითხრათ ყოველი...

ნ ი ნ ა

მიკვირს რაღა ხართ თქვენ ასეთი თანამგრძობელი?!

თ ა ვ ა დ ი

საკვირველია... მართლაც... რადგან თქვენ ხართ მიზეზი
ჩემი დაღუპვის... მაგრამ მაინც თქვენ მეცოდებით...
მე რომ გამგებრა, იგივე ხელი უსასტიკესი
ვიცი თქვენც მოგკლავთ... სულმდაბალის გაბოროტებით
არ გეუბნებით — რაღაც უინი რომ ავისრულო.
იყავით ფრთხილად... ვესმით? სხვაა მისი ბუნება.
თქვენი ქმარია კაცი ბნელი, უღმრთო, უსულო...
და ვგრძნობ წინასწარ — თქვენ მოგელით უბედურება.
სამარადისოდ გეთხოვებით... მკვლელი ბოროტი
არ ჩანს აშკარად — და ვიდრე არ გამოვლინდება
არც დასჯება... ის დღეც მოვა, ვუცდი ბოლომდი...
მიიღეთ თქვენი სამაჯური, აღარ მჭირდება...

(არბენინი მათ შორიდან უთვალთვალეს.)

ნ ი ნ ა

ხომ არ შეშლილხართ? ო, თავადო! ვხედავ, ისედაც
სირცხვილი არის ახლა თქვენზე გაგულისება.

თ ა ვ ა დ ი

აი მივდივარ... კიდევ ერთხელ გემუდარებით...

ნ ი ნ ა

ვხედავ — შორს მიხვალთ... ნეტავ საით მიემგზავრებით?
განა მთვარეზე...

თ ა ვ ა დ ი

უფრო ახლოს, კავკასის მხარეს.

(მიდის.)

დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი (დანარჩენ სტუმრებს)

ვისაც ველოდით, უკვე თავი აქ მოიყარეს,
აქ ვიწროდა ვართ, გვინდა ლხინი, ცეკვა, თამაში...
ვაუბატონებო! თქვენც, Mesdames! გთხოვთ, დიდ დარბაზში.

(გაღიან)

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე ო რ ი

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მარტო, თავისთვის)

ვეჭვობდი მასზე, რაც ყველასთვის უკვე ცხადია,
რაღაც ჩურჩული შემზარავი ირგვლივ გაისმის...
ხმანი მქირდევლნი თან დამდევენ... ჩემთან დადიან...
ვარ ყველას თვალში სასაცილო და საბრალისი,
ჩემს წვალებათა ნაყოფს ვუმზერ მე თავდახრილი,
აწ სადღა არის ის უფლება: ის დრო, როდესაც
ვსჯიდი ამ ხალხსა მოსწრებული სიტყვის მახვილით...
ის ჩემში ჩაპკლა ორმა ქალმა უბოროტესად.

ერთი მათგანი როგორ მიყვარს... და რა ცბიერად
მან მომატყუა... მაგრამ მაინც ქვეყნის სათრევად
იმ ქალს ვერ დავთმობ... მე სხვა მინდა შურისძიება...
ბრბომ ვერ მოასწროს აწი ჩვენი გასამართლება.
უსაშინლეს სამართლისა მე ვარ გამჭრელი;
თვითონ მე დავსჯი — და აქ იყოს ჩემი სასჯელიც...
(გულზე ხელს დაიდებს.)

ის უნდა მოკვდეს, ადარ ძალმიძს მე მასთან ყოფნა...
მაშ მართო დავრჩე?

(თითქოს თავისივე სიტყვის შეეშინდა.)

ეს გადაწყდა, მე უკვე მჯერა...
რომ ის მოკვდება... მე წინანდელ ჩემს ნებისყოფას
ვერ ვუღალატებ... ალბათ ბედად მას დაეწერა
ჯერ ახალგაზრდა საფლავის ქვას მიფარებოდა.
რომ ჰყვარებოდა ადამიანს ჩემსავით ბოროტს
და იმას კიდევ სულ სხვა ვინმე შეჰყვარებოდა...
რადღა იცოცხლოს ამის შემდეგ ბოლოს და ბოლოს...
ჰოი უფალო! უხილავეო, ყოვლის მხილველო!
მე კაცმა ცოდვის განტეგება ვერ დავივალო.
როგორც საწინდარს უძვირფასესს ამ ქალს გაბარებ,
მიუტევე და შენი კალთა გადააფარე.

(ისმის მუსიკის ხმა... არბენინი ოთახში დადის. უცებ შეჩერდება.)

ათი წლის წინათ, პირველად, მაშინ,
როცა დავიწყე ბანქოს თამაში,
მასხოვს წავაგე მე ათასები,
რამ დამავიწყოს ის ღამე ნავსი...
მაშინ ბაჯალლოს მეც ვაფასებდი,
და არ ვიცოდი სიცოცხლის ფასი.
გონდაკარგული წავეღ, სადღაც ვიყიდე შხამი,
და სათამაშო მაგიდასთან დავბრუნდი წამსვე.
ერთ ხელში ყვავის ოთხიანი მეჭირა შავი,
და მეორეში ლიმონათით სასმისი საფე.
ხოლო ჯიბეში უკანასკნელ მანეთის გვერდით
ფხვნილი შხამისა წუთს გადამწყვეტს ელოდა ღამით.

მაგრამ კვლავ ჩემკენ შემობრუნდა იქ ჩარხი ბედის
და ამის შემდეგ შენახული მაქვს იგი შხამი,
მღელვარ ცხოვრების მძიმე წუთში ძალმა იმისმა
რომ გამომიხსნას... სულ თან დამაქვს ყმაწვილობიდან,
როგორც საოცარ, საიდუმლო ძვირფას თილისმას,
შავი დღისათვის ვინახავდი — ეს დღეც მოვიდა.

(ოთახიდან სწრაფად გადის.)

გ ა მ ო ს გ ლ ა მ ი ს ა მ ე

დიასახლისი, ნინა და რამდენიმე მანდილოსანი კავალრებით.

(არბენინის მიერ უკანასკნელი სტრიქონების წარმოთქმისას შემოდინა.)

დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი

არ გვაწყენს ცოტა შევისვენოთ... ვგრძნობ დაიღალეთ...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი (მეორე მანდილოსანს)

ოჰ... ისე ცხელა, გავდნები მალე...

პ ე ტ რ ო ვ ი

ნინა პავლოვნამ შესაძლოა გვიმღეროს რამე.

ნ ი ნ ა

ახალ რომანსებს მე არ ვიცნობ თითქმის საცესებით,
ძველი კი... გული გამიწყალდა ძველ რომანსებით...

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

მართლაც გვიმღერეთ, გვიმღერეთ რამე!..

დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი

ისე კარგი ხარო, ჩვენთვის სულიც არ გენანებათ.
ტყუილუბრალოდ აბა ამდენს რად უნდა გთხოვდეთ?

ნ ი ნ ა (მიუჯღა პიანინოს)

მამ ყურადღებით მოისმინეთ ჩემი ბრძანება!
ახლავე დაგსჯით, სამუდამოდ რომ გამოსწორდეთ.

(მღერის.)

როს შენს თვალეებში მე ვხედავ წუხილს,
ცრემლი იელეებს წამს უნებური...
მივხვდები, მაგრამ არც შემაწუხებს,
რომ შენ იმ სხვასთან ხარ უბედური.
თუ უჩინარი პატარა ჭია
შენს უმწეო გულს ხრავს უჩინარად,
მერე რა მოხდა? ეს მიხარია,
რომ მან ჩემსავით ვერ შეგიყვარა.
მაგრამ შენს თვალეებს თუ ნეტარების
სხივი გამოკრთა... დიმილი ერთი...
ფარულად ვიწვი და ვეწამები,
მაშინ ჩემს გულში დულს ჯოჯოხეთი.

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ო თ ხ ე

იგინივე და არბენინი.

(უკანასკნელი სტრიქონის წარმოთქმისას შემოვა არბენინი, პიანინოს ილა-
ყვებით დაებჯინება. ნინამ შეხედა და უცებ ხმა გაკმინდა.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მერე, განაგრძეთ...

ნ ი ნ ა

დასასრული ვერ მოვიგონე.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თუ თქვენც ინებებთ, გაგახსენებთ.

ნ ი ნ ა (შემკრთალი)

არ მინდა... ვგონებ

(დიასახლისს)

აქ ავად გავხდი...

(წამოღვა)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ უ მ ა რ ი (მეორე სტუმარს)

ახალ მოდის სიმღერას მუდამ
სხვა სიტყვები აქვს და გამოთქმაც სხვაგვარი უნდა,
რაც ქალებს უჭირთ, თუნდაც ჰქონდეთ ხმა შესაფერი...

მ ე ო რ ე ს ტ უ მ ა რ ი

ბუნებრივია ჩვენი ენა და პირდაპირი,
დედაკაცის უინს იგი როდი ემორჩილება.

მ ე ს ა მ ე ს ტ უ მ ა რ ი

თქვენ მართალს ამბობთ: ვით ველური, ლალი ქმნილება,
არ იღუწება, ამაყი გვაქვს ენა ბუნებით;
სამაგიეროდ გულკეთილად ჩვენ ვიღუწებით.

(სტუმრებს ნაყინი მოართევს. დარბაზში სტუმრები აიშალნენ და სხვადა-
სხვა ოთახებში შევიდნენ სათითაოდ. დარჩნენ ნინა და არბენინი. დარ-
ბაზის სიღრმეში უცნობი გამოჩნდა.)

ნ ი ნ ა (დიასახლისს)

იქ ისე ცხელა... აქ ვიჯდები სულის მოთქმამდე.

(ქმარს)

ჩემო ძვირფასო, ნეტავ ნაყინს აქ მომიტანდე.

(არბენინს შეაჟრუოლებს. მიდის, ნაყინი მოაქვს. ზედ საწამლავს
მოაფრქვევს.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (განზე)

სიკვდილო, მისენ...

ნ ი ნ ა (არბენის)

შემეცვალა თითქოს გუნება...
რატომღაც ვწუხვარ... ალბათ მელის უბედურება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (თავისთვის)

მგერა, ხანდახან წინაგრძნობა კაცს აუხდება...

(ნინას)

აბა, აიღე... ეს წამალი წუხილს უხდება.

ნ ი ნ ა (ჰამს.)

ჰო, ეს ნაყინი გამაგრებებს.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ღიახ... ძალიან.

ნ ი ნ ა

აქ მოწყენა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო, ამ ხალხში... ეს მართალია,
მოგეწყინება, თუ ვერ შეძლებ როგორც გართობას,
უცქირო ამათ სიბრიყვეს და მუხანათობას,
აი ის ლერძი, რაზეც ბრუნავს მთელი ქვეყანა...

ნ ი ნ ა

ღიახ... საშინლად მართალი ხარ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

საშინლად, განა...

ნ ი ნ ა

სულსა უცოდველს ვერსად ნახავთ, არ არიან...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა...

მეგონა თითქოს ერთი ვნახე... ვფიქრობდი მცდარად.

ნ ი ნ ა

რას ლაპარაკობთ?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თუმც უცოდველს ქვეყნად ვერ ნახავ,
მე მაინც ვბოვე უცოდველი... და ეს შენა ხარ.

ნ ი ნ ა

შენ ფერმკრთალი ხარ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ბევრს ვცეკვავდი და მოვიქანცე...

ნ ი ნ ა

რა თქვი, mon ami? მთელ საღამოს იღეკი განზე.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ცოტა ვიცეკვე... ღიახ... ალბათ ასე მიტომ ვარ...

(ნინა ცარიელ ლამბაქს მიაწოდებს.)

ნ ი ნ ა

სუფრაზე დადგი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (გამოართმევს)

ერთი წვეთიც არ დამიტოვა.
(თავისთვის) საშინელება! აწ ნაბიჯი საბედისწერო
გადადგმულია და ვერასგზით ვერ შევაჩერო...

(დაფიქრების შემდეგ)

დაე, მის გამო სხვას დალუპვა ნუ უწერია.

(ლამბაქს ძირს დაანარცხებს და დაამსხვრევს.)

ნ ი ნ ა

რა ხელმარცხი ხარ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არაფერია...

ცუდად ვარ... ახლავ შინ გავემგზავროთ.

ნ ი ნ ა

ჰო... მაგრამ მითხარ, ჩემზე თუ ჯავრობ, რა გაწყენინე, რად ხარ ასე გულჩათხრობილი?

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა... დღეს შენით ვარ კმაყოფილი.

(მიდიან.)

უ ც ნ ო ბ ი (მარტო დარჩა)

ლამის ავყევი შემბრალებელ გულის არჩევანს, წამს გავიფიქრე, მივვარდნოდი გადასარჩენად.

(ჩაფიქრდება)

მაგრამ ჯობს მოხდეს რაც ერთხელვე განსახლვრე, ბედო! ცოტას დავუცდი... ის დროც მოვა, რომ ვიმოქმედო.

(მიდის.)

ს ვ ა ნ ა მ ი ო რ ა

გ ა მ ო ს ვ ლ ა პ ი რ მ ე ლ ი

არბენინის ხაწოლი ოთახი.

(შემოვა ნინა და თან შემოჰყვება მოახლე ქალი.)

მ ო ა ხ ლ ე

დღეს ქალბატონო, თქვენ რატომღაც ხართ ფერწასული.

ნ ი ნ ა (იხსნის საყურებს)

შეუძლოდა ვარ...

მ ო ა ხ ლ ე

ალბათ ძალზე ხართ მოქანცული.

ნ ი ნ ა (თავისთვის)

ქმარი დუმლით რად მაშინებს? მისი თვალები რად მიცქეროდნენ შემხარავი იღუმალებით?

(მოახლეს)

ცუდად ვარ რაღაც... ეს კორსეტის ბრალია მგონი. თქვი, ამ სამოსში ხომ ვიყავი დღეს მოსაწონი?

(სარკესთან მიდის.)

მართლაც მკრთალი ვარ... თითქოს მოჩანს სიკვდილის კვალი. თუმც პეტერბურგში დღეს ვინ არის, არ იყოს მკრთალი? გარდა თავადის შინაბერა ერთი ქალისა; მანაც ცბიერად სახე ფერით გაიხალისა.

(დალა-კაგებს მოიხსნის და ნაწნავებს აიხვევს.)

ეს სადმე დადე და მომეც შალი.

(ჯდება სავარძელში.)

რა კარგი იყო დღეს ის ვალსი, ტრიალს ვიწყებდი იმის ტკბილ ხმაზე... ო, როგორი თავდავიწყებით, უფრო და უფრო აჩქარებით... ვით საოცრება მიგვაქროლებდა შორს, შორს ცაში მე და ოცნებას, ისე მსუბუქად, თითქოს მკერდში დნებოდა გული... არ ვიცი იყო იგი სევდა თუ სიხარული... საშა! ის წიგნი მომიტანე. ოჰ, საცოდავი! მაინც დღეს როგორ მომაბეზრა თავადმა თავი. მართალი ვითხრათ, მებრალება. სულელი ბავშვი... რა თქვა? ბოროტი... დაისაჯოს... კავკასიაში... უბედურება. აი ბოდვა...

მოახლე

ეს ავალაგო?

(სამკაულეებზე მიუთითებს.)

ნინა

იყოს.

(ფიქრები მოერია. კარებში არბენინი გამოჩნდება.)

მოახლე

მიბრძანებთ, რომ წავიდე?

არბენინი (მოახლეს ჩუმად)

წადი.

(მოახლე არ მიდის)

ჰო, წადი...

(მოახლე მიდის. არბენინმა კარი ჩაკეტა.)

გამოსვლა მთორბ

არბენინი და ნინა.

არბენინი

ის ვგონებ აღარ დაგჭირდებათ...

ნინა

აქ ხარ?

არბენინი

აქა ვარ.

ნინა

ვგონებ ავად ვარ... ამიყარდა თავში ანთება.
ალბათ მაწყინა, ოჰ, იმ ნაყინს რამ დამაყარა?

მომიახლოვდი... ხელი მომეც... რა მემართება.
იგრძენი? ვიწვი... ნაყინმა ქნა... ხომ მართალია?
მაშინ გავცივდი...

არბენინი (დაიბნა)

ჰო... ნაყინმა? მისი ბრალია?..

ნინა

ჩემო კეთილო! მე მაქვს შენთან ერთი სათქმელი:
ვხედავ ბოლო ხანს შეიცვალე... თითქოს მემდურნი.
არ მიაღერებ როგორც წინათ — სახენათელი,
სიტყვა გიწყდება, ცივ თვალეებში ჩანს საყვედური.
მისი ბრალია... მეძულეება კუბოს კარამდი...
ვფიცავ... არასდროს აღარ ვნახო აწ მასკარადი.

არბენინი (განზე)

რალა თქმა უნდა! ეს საჭირო აღარც იქნება.

ნინა

აი, რას ნიშნავს ბიჯი წასდგა დაუფიქრებლად.

არბენინი

დაუფიქრებლად!

ნინა

სულ ეს იყო უბედურება...

არბენინი

ბიჯის წადგმამდე... თუ სად მიხვალ — უნდა გახსოვდეს...

ნინა

წინათ მცოდნოდა, რომ ასეთი გქონდა გუნება,
არ გავხდებოდი შენი ცოლი მე არასოდეს.
თვით გაეწამო, სხვაც აწამო... ო, რა კარგია!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თან როცა ჩემი სიყვარულიც არას გარგია...

ნ ი ნ ა

ის აქ სად არის? და რად მინდა ეს მოსაწყენი
ცხოვრება...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მის მახლობლად ჩამოჯდება.)

ღიახ... მართლაც რაა სიცოცხლე ჩვენი?
სიცარიელე... ვიდრე გულში სისხლი ცხოველი
გვივლის, ჩვენც გვიყვარს, გვსიამოვნებს ქვეყნად ყოველი.
გზნება-სურვილთა წლები წავლენ დაუბრუნებლად,
თანდათანობით ჩვენ გარშემო დაიბურება.
რაა სიცოცხლე? ბავშვებისთვის გასართობელი,
კარგად ცნობილი ძველისძველი შარადა მხოლოდ:
ჯერ დაბადება არის, შემდეგ წუთისოფელი, —
საშინელ ზრუნვად, ფარულ ტანჯვად შესაცნობელი,
და კიდევ შემდეგ — სიკვდილია ყველაფრის ბოლო...
ყველა კი ერთად, ეჰ, სიცრუე არის აშკარა...

ნ ი ნ ა (მკერდზე ხელს დაიდებს.)

რადაც გულსა მწვავს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (განაგრძობს)

ეს გაივლის... არაფერია...
ჩუმად... მისმინე... ჰვავს ცხოვრება ჩვენი მასკარადს...
სიცოცხლე გვზიბლავს, ვიდრე იგი მშვენნიერია...
და განა დიდხანს... ირგვლივ ნათლად ჩანს ყველაფერი...
ბრწყინვალეება, შენც ტრიალებ, ცეკვავ და მღერი.
აი, დაბრუნდი... შინ დაჰმუჭნილ ტანსაცმელს იხდი
და ყოველივე გავიწყდება წამს ღონემიხდილს...
მაგრამ ჯობია ახალგაზრდამ დათმოს ცხოვრება,
არ დაუტვირთავს ვიდრე განცდილს მისი გონება;

ვიდრე სულს მისას შეუჩვეველს ეუცხოება
ამქვეყნიური უსულგულო, ფუჭი თამაში,
დაუყოვნებლივ გადაფრინდეს სხვა ქვეყანაში.
სიკვდილს შეხვდება იგი უფრო დაუზარებლად.
თუმც ბედმა ყველას არ აღირსოს ეს ნეტარება.

ნ ი ნ ა

ოჰ, არა, არა... მსურს ვიცოცხლო...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რა საჭიროა?

ნ ი ნ ა

გესმის? ეგგენი! მე ავად ვარ... ო, ეს წამება!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სხვისი წამება უფრო დიდი... უნაპიროა...

ნ ი ნ ა

ექიმს აცნობე...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

თვალის ერთი დახამხამება
არის სიკვდილი, სიცოცხლე კი — მარადისობა.

ნ ი ნ ა

მე სიცოცხლე მსურს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

აქ წამებულს იქ ელირსება
ჰოი რამდენი ნუგეში და პატივისცემა.

ნ ი ნ ა (შეშფოთებული)

გთხოვ... ჩქარა ექიმს დაუძახე...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (დგება... ცივად)

არ დავუძახებ.

ნ ი ნ ა (დუმილის შემდეგ)

ცხადია ხუმრობ... ასე უღვთოდ ნუ ხუმრობ... კმარა!
იქნებ მე ვკვდები... ექიმთან... ჩქარა!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არ მოხერხდება უექიმოდ რომ აღსრულო?

ნ ი ნ ა

შენი ცოლი ვარ... ო, ეგვენი... ბოროტო სულო!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ვიცი...

ნ ი ნ ა

გულს ცეცხლი მთლად მოედო... ო, შემობრაღე,
კვდები.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (საათს უცქერის)

აღრეა, თუმც სიკვდილის დროც მოვა მალე.

ნ ი ნ ა

სულ არ გიყვარვარ!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

რად მიყვარდე? მითხარი ერთი...

ნუთუ იმისთვის, რომ ჩამინთე გულს ჯოჯოხეთი?

არა! შენს სიკვდილს... ღმერთო! ვუცქერ მე სიხარულით...
ნუთუ შენ ბედავ, რომ მომთხოვო მე სიყვარული.
მცირედ მიყვარდი? ეს თვითონ თქვი — შენ უნაზესი
განა ოდესმე დააფასე ჩემი ალერსი?
ან განა შენგან ბევრს ვითხოვდი მე ამის ფასად?
შენს სანდომიან გამოხედვას, შენს ღიმილს ნაზსა...
და რა მივიღე, ცბიერება, ღალატი მხოლოდ...
როგორ შეიძელ, რომ გამყიდე, ძვირფასო ცოლო,
ვინმე რეგენის ერთ კოცნაში... მე... მე... რომელსაც
შემეძლო შენთვის სიხარულით სული მომეცა,
ღღონდ ეს ჩემთვის გეთქვათ მხოლოდ... ვის მანაცვალე?
ო, მილალატე... და როგორ მალე...

ნ ი ნ ა

ვიცოდე მაინც... ნეტავ რა მაქვს დანაშაული...
იქნება მაშინ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ო, შენ შემშლი, არც მსურს მესმოდეს...
ეჰ, ბოლო როდის მოეღება ტანჯვას ესოდენს...

ნ ი ნ ა

თავადს შემთხვევით უპოვნია ის სამკაული...
მერე ეს მისწვდა ვიღაც ბოროტ მეჭორის ყურებს...
შენ მოგატყუეს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ღიახ... ვიცი... მე მომატყუეს.
შევეცი და კმარა! ჩანს ოცნებამ შორს გამიტაცა:
რომ მეც ოდესმე თავს ვიგრძნობდი ბედნიერ კაცად.
რომ კვლავ სიყვარულს ვირწმუნებდი... საათმა დაჰკრა
და ავადმყოფის ბოდვასავით ყოველი გაქრა.
იქნებ იმედით გამხნეებულს იმ საათამდის,
ხორცი შემესხა მე ჩემს ციურ ოცნებათათვის.

მაშინ ჩემს გულში ო, შენც ასე რომ გასურვებოდა,
რაც უკვე დაჰქანა — ხომ ხელახლა გაცოცხლდებოდა.
ახლა კი, ნინა, იქვითინე... იტირე მწარედ...
თუმც დედაკაცის ცრემლი რაა? წყალი წვიმისა...
მე ხომ კაცი ვარ... მეც ვტიროდი... მეც ცრემლი ვღვარე,
ცრემლი ტანჯვისა, ეჭვის, ბრახის და სირცხვილისა.
იცი რას ნიშნავს თუ ვაეკაცი აქვითინდება?
არ მიეკარო... საჭიროა წამს გარინდება...
როცა მის გულში დულს ჯოჯოხეთი,
ხელთ სიკვდილი აქვს, ცოდვილთა ხვედრი.

ნ ი ნ ა

(აცრემლებული დაიჩოქებს და ხელებს ადაპყრობს.)

ო, ზეციერო! შეწყალებას შენგან მოველი...
მას არაა ესმის... შენ ხომ გესმის... იცი ყოველი!..
შენ გამამართლებ, ყოვლის შემძლე! მაღალო ღმერთო!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

შესდექ! სიცრუე ახლა ღმერთსაც არ გაუბედო...

ნ ი ნ ა

არა, არ ძალმიძს ცრუ აღსარება.
მით ვერ შევბაღალო წმინდა სამება...
ვინც ჩემს წამებულ სულს ჩაიბარებს,
იგი შენ დაგსჯის — მე შემეფარება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(რომელიც ოთახში გულზე ხელდაკრეფილი დადის.)

ილოცე, ნინა, ღმერთს შეპლადადე!
ცოტალა დარჩა შენს სიკვდილამდე.
შენი სიკვდილი ხალხს დარჩება იღუმალეზად
და ჩვენი განსჯა მხოლოდ ღმერთს თუ დაევალება.

ნ ი ნ ა (შეშინებული)

როგორ! მე ვკვდები? ახლა?... არა, ეგ არ მოხდება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (დამცინავედ)

დაიხ, ვიცოდი, რომ ეს მართლაც შეგაშფოთებდა.

ნ ი ნ ა

სწორს ამბობს... ვკვდები. ვგრძნობ სიკვდილი ჩემი ხვედრია,
მკერდში ცეცხლი მწვავს... გულში მთელი ჯოჯოხეთია.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დღეს იქ მოგწამლე.

(ღუმლი.)

ნ ი ნ ა

ო, არ მჯერა... შენ გულქვეა არ ხარ...

(არბენის მივარდება)

აღბათ დამცინი... ხუმრობ, თანაც არ გეცინება...

არა, შენს სულში აუცილებლად
კვლავ ბეჟუტავს შუქი სიკეთისა ჩემს საიმედოდ.
ესდენ ყმაწვილი შენ გულგრილად ვერ გამიმეტო,
ევგენი! სახეს ნუ მარიდებ... მტანჯავ და რატომ?
კმარა! გათავდეს წუთნი ჩემი წამებისანი.
ჩამხედვე თვალში, იქნებ შიში მით გამიფანტო...

(არბენის თვალბში ჩააჩერდება და უკან დაიხვეს.)

ო, შენს თვალბში მე სიკვდილი გამოვიცანი.

(ნინა სახეს ხელბით დაიფარავს და სკამზე მოწყვეტით დაეშვება.
არბენი მასთან მივა და აკოცებს.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო... შენ მოკვდები... მე დავრჩები აქ მარტოდმარტო...
გავლიან წლები... ეს ქვეყანა მეც მივატოვო...

მაგრამ ვიქნები იქაც მარტო... საშინელია!
შენ კი რად შიშობ? ანგელოზნი ცაში გელიან,
წაგიყვანენ და გიჩვენებენ უმშვენეს მხარეს...
ანგელოზთ გუნდი თვის სამყოფში შენ შეგიფარებს.

(ტირის.)

მიყვარხარ... დიახ... შენ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო...
აი, რაც მოხდა... დავივიწყე... სულ აღარ მახსოვს...
შურისგებასაც საზღვარი აქვს, სიკვდილის წამში.
ხედავ? თავს მკვლელი დაგქვითინებს, ისე, ვით ბავშვი.

(ღუმლი.)

ნ ი ნ ა (ხელიდან გაუსხლტება)

აქეთ... აქ მოდი... მომეშველეთ — მე ღონემიხდილს.
ო, შხამი... ვკვდები... არც კი ესმით... დიახ, მე მივზვდი:
ფრთხილი ყოფილხარ... არვინ არი... არავინ არ ჩანს.
მაგრამ გახსოვდეს, ვერ გაეძევე შენ ციურ განსჯას.
წყეულიმც იყავ... კაცის მკვლელო...

(კარამღე ველარ აღწევს. უგონოდ დავარდება.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მწარედ იცინის.)

დამწყევლე განა...

წყევლა რას გარგებს? მე წყეულ ვარ თვით უფლისგანაც.

(მიუახლოვდება.)

საბრალო... ტანჯვა მის ძალ-ღონეს აღემატება...

(გულხელდაკრეფილი დაჰყურებს.)

გაფითრებულა...

(შეაყრკოლებს)

თუმც სახეზე არ ეხატება

არც სინანულის და არც ქენჯნის რამ ნატამალი,
ნუთუ?

ნ ი ნ ა (მიღეული ხმით)

შშვიდობით... ო, ევგენი... მე არ მაქვს ბრალი.
ვკვდები... ბოროტო!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ო, ნუ ამბობ... შენ ამ განაჩენს,
ველარც სიცრუით, ვერც მზაკვრობით ველარ გადარჩე.
თქვი: ხომ გამცვალე? ასე მკაცრად თვით ჯოჯოხეთსაც
არ შეეძლება, რომ დასცინოს სიყვარულს ჩემსას.
შენ დუმხარ, არა? ჩანს ღირსი ხარ ამ შურისგების...
აწ არაფერი არ გიშველის, აი, შენ კვდები...
ნუ შემფოთლები... შენი ასე გარდაცვალება
ქვეყნად დარჩება ამოუცნობ იღუმალეზად.

ნ ი ნ ა

ეს ახლა ჩემთვის სულ ერთია... ღმერთია მადლა...
მე მის წინაშე მართალი ვარ...

(კვდება.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(მივა ნინასთან და უცებ ვანშორდება.)

იცრუა!.. ახლაც...

(სავარძელში მოწყვეტილ ჩაეშვება.)

მესამე მოქმედების დასასრული.

მოსმელებს მიერთებ

სენა პირველი

გამოსვლა პირველი

არბენინი

(ზის სავარძელში მაგიდასთან.)

როგორ დავდლილვარ ამდენ ტანჯვა-მწუხარებისგან,
საკუთარ თავთან რომ ვიბრძოდი მოუსვენარი...
და აი, ბოლოს ჩემს გრძნობებსაც თითქოს ეღირსათ
რალაც სიმშვიდე, სამძიმო და მოსაჩვენარი.
და მხოლოდ ფიქრი უნებლიეთ მეწვევა ოდეს,
ცივ ზმანებაში მიძინებულ სულს შემომფოთებს.
თითქოს რალაცის მოლოდინში კვლავ გული მითრთის...
ნუთუ ყოველი არ გათავდა და მომაველისთვის
ჩემს დასასჯელად სხვა, ახალი ტანჯვა იწყება?
სისულელეა... დროს მოჰყვება თან დავიწყება...
და ხსოვნაც წლების სიმძიმის ქვეშ გაიცრიცება.
ბოლოს და ბოლოს ხომ ოდესმე მაინც იქნება,
და კვლავ ჩემს სულში მყუდროება დაემკვიდრება...

(ჩაფიქრდება, უცებ თავს ასწევს.)

ვცდებოდი? ხსოვნა უწყალოა. ისევ და ისევ,
ვხედავ მის სახეს ნალვლიანსა, მის ხეწნას ვისმენ...
რა გინდა ჩემგან? შორს უღმობელო,
გალვიძებულო ასპიდო, გველო!

(თავით ხელეზზე დაემხოა. შემოდის კაზარინი.)

გამოსვლა მეორე

კაზარინი (წყნარად)

აჰ, არბენინი წუხს და ოხრავს... რა გადაარჩენს...
ამ კომედიას ვნახოთ როგორ გაითამაშებს...

(არბენინს)

ძვირფასო ძმაო, მოვდიოდი შეუსვენებლად...
ნუგეშისათვის ახლა სიტყვაც არ მეგულება,
რა ვაეწყობა... ალბათ ბედსაც ასე ენება...
სხვასაც მოსვლია ამნაირი უბედურება.

(სიჩუმე.)

ქმარა! ნილაბი ჩამოიხსენ, შენ, ძმაო ჩემო!
ნულარ დასტკერი ძირს ვითომდა დიდ დალონებით...
ასე კარგია ხალხს მოაჩვენო,
მაგრამ — ჩვენა ვართ მსახიობები.
მითხარი, ძმაო... ო, სიფითრე ისე გაჩნია,
თითქოს მთელ ღამეს სადღაც ბანქო გითამაშნია.
ჰაი, შე ძველო ოინზაზო! ჩვენ მოცალებით
კვლავ მოვესწრებით, რომ შევუდგეთ ჩვეულ ღალადის...
ცხედრის სატირლად აი შენი ნათესავეებიც
უკვე მოვიდნენ... ხვალ შევხვდებით, ახლა ნახვამდის.

(მიდის)

გამოსვლა მესამე

ნათესავეები მოდიან.

მანდილოსანი (ძმისწულს.)

რალა თქმა უნდა, მოვლენია წყევლა უფლისა...
იგი უღირსი შვილი იყო, ქმარიც უღირსი.
მალაზიასთან გამახსენე — რომ შევიარო.
მინდა ძაძები შევიძინო სამგლოვიარო.
შემოსავალი აღარა გვაქვს... ეს ვინ რა იცის...
უნდა დავიქცეთ ახლა ვილაც ნათესავისთვის.

ძმისწული

Ma tante! რით მოკვდა... მითხარი მართლა —
ჩემს დეიდაშვილს რა დაემართა?

მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი

ის — რომ ბრწყვია ჩვენი ხალხი; მისდევენ მოდებს...
უბედურებაც თან მოდას მოსდევს.

(მიდიან.)

ზ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ო თ ხ ე

(გამოდინ მიცვალბულის ოთახიდან ექიმი და მოხუცი კაცი)

მ ო ხ უ ც ი

თქვენ იმის სიკვდილს დაესწართ?

ე ქ ი მ ი

ის მოკვდა მალე,
ვერ მოვუსწარი... სულ ვამბობდი, ნაყინს და ბალებს
ერიდეთ-მეთქი... აი, ხედავთ, რა ჭირიც გაჩნდა!..

მ ო ხ უ ც ი

ხომ დააკვირდით... კუბოს ფარავს ძვირფასი ფარჩა...
ვასულ გაზაფხულს, აი სწორედ ფარჩა ამგვარი.
ჩემი ძმის კუბოს ზედ ეფარა — როგორც აქ არი.

(მიდიან.)

ზ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი ხ უ თ ი

ე ქ ი მ ი

(მივა არბენინთან და ხელში ხელს ჩასჰიდებს.)

თქვენ ახლა უნდა დაისვენოთ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (შეკრთება)

ოჰ!

(თავისთვის)

ჩამწყდა გული.

ე ქ ი მ ი

მთელ ღამეს უფოთავთ მწუხარებას თავმიცემული,
ვთხოვთ დაიძინოთ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო, ვეცდები...

ე ქ ი მ ი

აქ დახმარება

არგის ძალუძს — და ამიტომ თქვენ გევალებათ
თავს გაუფრთხილდეთ.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ოჰ... მე სენი არ მეკარება!

რა გამწირველი ქვეყნიური ტანჯვა-წამება
ჩემს გულს ცხოვრებამ არ შეახვედრა,
კვლავ ცოცხალი ვარ...მე მინდოდა აქ ნეტარება
და ანგელოზად მომივლინა ის თვითონ ღმერთმა.
მეგრამ... ო, მასში ცოდვილ სუნთქვით ღვთაებრიობა
მე შევბღალე და მშვენიერი იგი ქმნილება,
აი, შეხედეთ — ახლა ცივი, იქ — მკვდარი მიდევს...
ვინმე უცხოსთვის, სიცოცხლეში სულ ერთხელ მარტო,
ჩემი შერცხვენის საფრთხესაც კი არ დავერიდე...
გადავარჩინე ის დაღუბვას, და თურმე რატომ,
ო, რა იოლად, ხუმრობით, მღერით,
ერთად წამართვა მან ყველაფერი...

(მიდის.)

ე ქ ი მ ი

ჩანს იგი ძალზე ავად არის, ეჭვი არ უნდა,
მის თავში ფიქრის ქარიშხალი ბევრჯერ დაბრუნდა,
და თუ გაგიჟდა, ამას ვიტყვი დაიმედებით,
შეგუნარჩუნებ მას სიცოცხლეს ღრმა სიბერემდი.

(უნდა გავიდეს. წინ შეხედება თავადს და უცნობს.)

გამოსვლა მთავრად

(შემოდინ უცნობი და თავადი.)

უცნობი

ჩვენ არბენინის ნახვა გვინდა... იქნებ თქვენ ბრძანოთ, ხომ შეიძლება?

ექიმი

ვერ გავბედავ დასტურს პასუხად, გარდაეცვალა გუშინ ცოლი.

უცნობი

ძალიან ვნანობ.

ექიმი

დიდ წუხილშია.

უცნობი

ამ ამბავმა მეც შემაწუხა. მაგრამ ის თვითონ ხომ შინ არის?

ექიმი

დიახ, შინ გახლავთ.

უცნობი

ფრიად საჭირო საქმისათვის გვსურს მისი ნახვა.

ექიმი

თქვენ, ბატონებო, მეგობრები იქნებით მისი...

უცნობი

არა, ჯერ არ ვართ — ჩვენ მოვედით სწორედ იმ მიზნით, რომ დავმეგობრდეთ.

ექიმი

ავად გახდა... ო, ძალზე მძიმედ.

თავადი (შეშფოთებული)

ცნობაც აღარ აქვს?

ექიმი

ჯერჯერობით არ ვკარგავთ იმედს, — დადის, საუბრობს...

თავადი

მადლობა ღმერთს!

(ექიმი მიდის.)

გამოსვლა მთავრად

თავადი

ბოლოს მეღირსა...

უცნობი

სახეზე ცეცხლი მოგდებიან მღელვარებისა. თქვენ იმ სიტყვაზე მტკიცედა ხართ?

თავადი

თქვენც ხომ მპირდებით, რომ თქვენი ეჭვი დამტკიცდება ჭეშმარიტებით?

უცნობი

ერთი კაცი გეძაგს, სურვილითაც ერთი გეწაღია. მაგრამ სულს მისას თქვენ არ იცნობთ, — ის წყევლია... ის უფსკრულია სამარისა... სამარადისოდ

ჩაძირავს მსხვერპლსა, თუ ერთხელვე გადაიხსნება...
რომ თქვენ დაგდუპოთ — უსაბუთო ეჭვს საკმარისობს,
და თუ შელახეთ მისი ღირსება,
ო, მან არ იცის სიბრალული, არც პატიება —
შურისძიება! მაშინ მხოლოდ შურისძიება!
აი კანონი, სწრაფვა მისი უსაშინლესი...
იმ ქალის სწრაფი სიკვდილისა იყო მიზეზი...
ვიცი მტრები ხართ, ხელს წაგიკრავთ მეც სიხარულით...
ჯერ თქვენ შეეხებით, მეც ვიქნები იქვე მახლობლად,
სულ ორ ნაბიჯზე, მინდა დაეტკებ სანახაობით.

თ ა ვ ა დ ი

მან მხოლოდ გუშინ მომაყენა შეუტრაცხყოფა,
როგორ გაიგეთ?

უ ც ნ ო ბ ი

გეტყვით, მაგრამ ამ ლაპარაკით
თავს თუ შეგაწყენთ, ამას პყვება მთელი ქალაქი...

თ ა ვ ა დ ი

ოჰ, ველარ ვიტან...

უ ც ნ ო ბ ი

ძლიერ გტანჯავთ სირცხვილი, არა?

თ ა ვ ა დ ი

ეჰ, თქვენ რა იცით სირცხვილი რაა?

უ ც ნ ო ბ ი

სირცხვილი რაა — რაც თქვენ ასე გესირცხვილებათ,
გაივლის დრო და დაგავიწყებთ გამოცდილება.

თ ა ვ ა დ ი

მაინც ვინა ხართ?

უ ც ნ ო ბ ი

თქვენ რად გინდათ ჩემი სახელი?
სულით და გულით მე ვარ თქვენი თანამზრახველი.
მეც მინდა თქვენი ღირსებისთვის ვიბრძოლო წრფელად.
მაგრამ... სუ... მოდის, მოაბიჯებს სიმძიმით, ნელა...
სწორედ ის არის, წამით გამართებთ თქვენ განრიდება,
საქმეები გვაქვს — აქ მოწამე ჩვენ არ გვჭირდება.

(თავადი განზე დადგება)

ზ ა მ ო ს ვ ლ ა მ ი რ ვ ი

(არბენინი ხელში შანდლით.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

სიტყვა სიკვდილი! ჩემი სახლის ცივი სტუმარი:
ახლა აქ არის... უკან დამდევს... არ მტოვებს არსად,
მეც ამ სიტყვით ვარ განმსჭვალული... ვიდექ მდუმარი,
და დავცქეროდი იქ კუბოში გაყინულ გვამსა,
გული ამეგსო გამოუთქმელ, ჩუმ სიმძიმით...
მის მშვიდ სახეზე ჩანს ბავშვური უდარდებლობა,
წყნარად გაშლია მარადისი მკრთალი ღიმილი...
აღბათ სულს მისას წაუკითხავს იქ რა ელოდა, —
ოდეს გაიღო მის წინაშე მარადისობა...
ნუთუ მე შევცდი? ო, არ მჯერა. მის უბიწობას
ვინ დამიმტკიცებს? სიცრუეა! სიცრუე! ბოდვა!
ვის აქვს საბუთი? იგი მე მაქვს — ჰო! იმან სცოდა...
ცოლს თუ არ ვენდე, სხვას რომელს ვენდო?
თუმც ვიყავ ქმარი მგზნებარე მეტად;
ვიყავ მსაჯული, გულცივი ერთობ.
გადარწმუნებას ვინ შემბედავს?

უ ც ნ ო ბ ი

მე გაგიბედავ!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(ჯერ შეშინებული უკან დაიხევს, შემდეგ სანთელს სახეში მიანათებს.)

მერე... თქვენ ვინ ხართ?

უ ც ნ ო ბ ი

არ გაგონდები?

მამ გაიხსენე, ძველისძველი ვართ მეგობრები.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მანც ვინა ხართ?

უ ც ნ ო ბ ი

ვარ კეთილი შენი გენია,
განუშორებელ თანამგზავრად რომ გაგჩენია.
შეუცნობელი, სხვა სამოსში, სხვა სახით მუდამ...
ვიცი ყოველი შენი საქმე და ფიქრიც თუნდა.
გითვალთვალეზღი, იქაც, გახსოვს ის მასკარადი?..

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (შეკრთება)

წინასწარმეტყველს პატივს არ ვცემ — გიბრძანებთ, წადით!..
ახლავ გამშორდით, არ დამჭირდეს განმეორება.

უ ც ნ ო ბ ი

თუმც სხვას შეზარავს შენი მკაცრი ხმის გაგონება,
თუმც კარვად მესმის ურყეველი შენი ბრძანება.
მე ამ ბრძანების შესრულება არ მეჩქარება.
ჰო, დიახ, დიახ, ეს ცხადია — შენ ვერ მიცანი...
შენ იმ კაცთაგან არ გეგონო, ვინაც მიზანი, —
წლების მანძილზე რითაც იგი გატაცებულა,
უეცრად დათმოს შიშისაგან ზარდაცემულმა.
ამ კაცმა მიზანს მიაღწია, აქ განირთხმება —
მოკვდება, მაგრამ ის წამითაც არ განიხრება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მეც ასეთი ვარ, მაგრამ ამას არვის ვაქადი.

(ჯდება)

აი, მე გისმენთ...

უ ც ნ ო ბ ი (განზე)

სულაც არ გასჭრა, რაც ვთქვი აქამდე...
ნუთუ მე ვცდები... ესეც ვნახოთ.

(არბენის)

შვიდი წლის წინათ,
გახსოვს, არბენინ! შენ იცნობდი ერთ ყმაწვილს — ვინაც:
იყო მდიდარი, გულფიცხი და გამოუცდელი...
შენში მაშინაც ეს სიცივე იყო უცვლელი,
ეს სიძულვილი ყველაფრისა ჯოჯოხეთური,
და ამით ყველგან ამაყოზდი შენ უკეთური.
ეს იმ გარემოს თუ შენს ჭკუას მიეწერება,
სწორედ არ ვიცი, არც მსურს მქონდეს ბედნიერება
აქ შენი სული გავარჩიო, მას იცნობს ღმერთი,
შენი ამ სახით გამჩენელი ის არის ერთი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

დაწყება მომწონს.

უ ც ნ ო ბ ი

დასასრულიც არ არის ცუდი —
აიყოლიე ის ყმაწვილი შენ ერთხელ წუთით,
და მიიტყუე... სავსე ჰქონდა მას ქისა მაშინ,
ბედს ენდობოდა... შენთან დაჯდა და ითამაშა,
მაგრამ ქალადი არ უმართლებდა...
თავისი ძუნწი, კერბი მამის დამუნათებას
შეუშინდა და — ამოგება მან სცადა კიდევ...
თუმცა შენც იყავ ახალგაზრდა, მას ჩაეჭიდე
კლანჭებით ისე, რომ საბრალომ დაცალა ქისა...

იქნებ შენ გახსოვს მისი ცრემლი, ხმა ვედრებისა,
შენ კი დასცქერდი დამცინავად და ხარხარებდი...
უჯობდა გულში მას თუ ხანჯალს გაუტარებდი.
მაგრამ იმხანად ჯერ მომავალს ნათელმხილველი;
წინ ვერ ხედავდი — დასცინოდი მსხვერპლს გამწირველი.
და აჰა ნერგმა მაშინდელი ავკაცობისა,
უკვე ნაყოფი ღირსეული ღღეს გამოისხა.

(არბენის უნდა წამოვარდეს, მაგრამ გადაიფიქრებს.)

და იმწამს დათმო მან ყოველი პატიოსნება,
წლები ნეტარი სიყმაწვილის, ტრფობა, ქალები,
საამო თრთოლვა... ნაზი ოცნება...
წინ გადეშალა სხვა ქვეყანა იღუმალების:
იგი ქვეყანა გასაოცარ სხვა შეგრძნებათა,
იგი ქვეყანა წარმტაც ტანჯვა-გაწამებათა,
ცივი ვნებების, თავმოყვარე ამაყ სულების...
სადაც კრებებიან ხალხისაგან განკიცხულები
და მან შეიცნო, რომ ოქროა ქვეყნის მპყრობელი.
მას თავყვანი სცა, დრო გავიდა, გაქრა ყოველი;
ის ჯანმრთელობა და ქონება რაც კი ებადა...
წინ სამუდამოდ გზა დაეხმო ნეტარებათა...
მაშინ თავისავ ბედისწერას ის შეუთანხმდა
და იმად იქცა, რაც მე ვარ ახლა.
ა... შენ ცახცახებ... ვგრძნობ შეიცან ჩემი მიზანი,
ჩემი სიტყვებიც შენთვის არის უკვე ნათელი.
თქვი, რომ ვერ მიცნობ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ო, გამშორდი! მე შენ გიცანი...

უ ც ნ ო ბ ი

მე შენ გაგშორდე? აქ გათავდა განა სათქმელი?
შენ დამცინოდი; ახლა მეც მსურს ვიცინო ლხენით.
შემთხვევით მომწვდა ამას წინათ ამბავი შენი:
ცოლი შევირთავს, ხარ მდიდარი, ხარ ბედნიერად...

როგორ მემწარა! უცებ დრტვინვამ გულს დამიარა...
დიდხანს ვფიქრობდი: რად ვერგუნა ეს ნეტარება?
გულიც ჩურჩულით მაქეზებდა და მაჩქარებდა;
გასწი! ო, გასწი! შეამფოთე! და იმ წამიდან
სულ თვალწინ მქონდა — შენი კვალი საით წავიდა...
დაუცხრომელი თან დაგდევდი დანთქმული ბრბოში...
უკვე გავიგე ყველაფერი, საქმესაც მოვრჩი...
ერთი სიმართლე ახლა შენთან მაქვს გასამხელი...

(სიტყვას გააგრძელებს)

ნამდვილად ვიცი: ცოლი მოჰკალ, ხარ ცოლის მკვლელი.

(არბენი უცერად უკან დაიხვეს, მას თავადიცი მიუახლოვდება.)

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

მე... ცოლი მოვკალ... მე... თავადო! რას ნიშნავს ესა?

უ ც ნ ო ბ ი (განზე გადგება)

მე მოვათავე, ის გიამბობთ აწ დანარჩენსაც.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (გაფითრებული)

აჰ... 'შეთქმულება... კარგი, იყოს... მე თქვენს ხელთა ვარ,
ვინ დაგიშალთ, ვინ აღგიდგეთ წინ გამბედავად.
ო, სულ არავინ... ხელმწიფება ახლა თქვენია...
მე თქვენს ფერხთა ვარ... განა მეტი რა დამრჩენია,
ბალლი ვარ! ბრიყვი! და იმ სიტყვებს, რაც გავიგონე,
პასუხი გავცე — აბა სად მაქვს ამისი ღონე?
ოჰ... დამამარცხეს ოინებით, იოლად, მყისვე...
ჯალათის ნაჯახს მორჩილებით შეგუშვერ კისერს...
ვერ გამოზომეთ! თქვენ აქ სცდებით აუცილებლად,
მე კიდევ შემრჩა ჭკუაც, ღონეც, გამოცდილებაც...
ფიქრობდით შთანთქა მისმა კუბომ ყველა ესენი?
კვლავ ჩემებურად ვერ მოგიზღავთ და წამესევით...
თურმე თქვენს თვალში მზაკვრულმა ცოლმა,
რამდენად დამცა და დამამცირა...

დიახ, ეს სცენა კარგადა გაქვთ თქვენ გამიზნული,
მაგრამ ვერ სცანით — რა იქნება აქ დასასრული.
ჰა, ჩემთან ბრძოლას ეს ბალიც ფიქრობს...
ერთი რომ ვტყვიცე — არ იკმარა, მეორეს ითხოვს...
ო, ჩემო კარგო, თქვენც მოგიზღავთ ერთად, ხალასად...
თავი მოგბეზრდათ? მოსწყინდება სიცოცხლე ალბათ,
ვინმე რეგვენსაც, ქალის მღევარ მაწანწალასაც...
ახლა დამშვიდდით... ყველაფერი მოხდება სწრაფად...
მოგკლავთ — სიკვდილით და სახელით არამზადისა.

თ ა ვ ა დ ი

ვნახოთ, მაშ ჩქარა...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

ჰო, წავიდეთ... წავიდეთ...

თ ა ვ ა დ ი

ახლა

ბედნიერი ვარ.

უ ც ნ ო ბ ი (თავადს შეაჩერებს)

გავიწყდებათ თქვენ უმთავრესი.

თ ა ვ ა დ ი (არბენინს შეაჩერებს)

მინდა იცოდეთ, რაც შემწამეთ — სიცრუე გახლავთ,
ტყვილად დაეჭვდით თქვენი ცოლის ერთგულებაშიც...
მსურდა ყოველი თქვენთვის მეთქვა და სწორედ მაშინ
შეურაცხმყავით... სჯობს წავიდეთ...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

აჰ... რა მითხარით?

უ ც ნ ო ბ ი

მეუღლეს თქვენსას არ აქვს ცოდვა არავითარი
და რა სასტიკად დაისაჯა უმანკოება...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (ხარხარებს)

დიახ, გკოდნიათ ოინების გამოგონება.

თ ა ვ ა დ ი

არა, არ არის ეს ოინი, ვიფიცავ ღმერთსა,
რალაც შემთხვევით უბოვნია ჯერ ბარონესას
ის სამაჯური, მერე იგი მე გადმომეცა
მისივე ხელით... მეც ვცდებოდი, მაგრამ როდესაც
თქვენს ცოლს დავუწყე ტრფიალება, მითხრა უარი,
არც გამიკარა — აქ რა არის მოსატყუარი...
ესდენ პატარა შეცდომისგან — რომ მგონებოდა
ესოდენ დიდი ბოროტება წარმოსდგებოდა,
არც ვეძიებდი მე მის ღიმილს, მის თვალებს წრფელსა...
აი ბარათიც, წაიკითხეთ, გწერთ ბარონესა...
იგი გიტყდებათ ყველაფერში დასაბუთებით.
მსწრაფლ წაიკითხეთ, ძვირფასია ჩემთვის წუთებიც.

(არბენინი წერილს ჩამოართმევს და კითხულობს.)

უ ც ნ ო ბ ი

(თვალს ცბიერად ცისკენ აღაპყრობს.)

ო, ბოროტს დასჯის განგება მხოლოდ!
ქალსა უცოდველს მოუღო ბოლო!
იმ ქალს ელოდა აქ მწუხარებდა
ახლა კი ცაში აქვს ნეტარება.
ოჰ, მე მინახავს მისი თვალები,
სულის სიწმინდით ნაბრწყინვალეები...
ვინ იფიქრებდა, უნაზეს ყვავილს
უცებ აქცევდა მტერად ქარიშხალი!
ჰოი ბედკრულო, რა გეშველება?
ეწამე, მოჰყევ გმინვას და ბლავილს —
საშინელება, საშინელება.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (მათ მივარდება)

მე თქვენ დაგახრჩობთ, ო, ჯალათებო!

(მაგრამ უცებ ღონეშიხდილი სავარძელზე დაეცემა.)

თ ა ვ ა დ ი (უხეშად შეარხევს)

აწ სინანულით ვერ გადარჩები...

აბა! გვიციდიან ჩვენ დაძაბრები...

უნდა გადაწყდეს დღეს ჩვენი დავა...

მას აღარ ესმის, დუმს შემზარავად...

ნუთუ გონს კარგავს?!

უ ც ნ ო ბ ი

ჰო, შეიძლება.

თ ა ვ ა დ ი

მე თქვენ დამლუპვით, ჩემი ღირსება!

უ ც ნ ო ბ ი

სხვადასხვა მხრიდან ვუმიზნებდით. მე დაგასწარით
და ვაზლვევინე... თქვენთვის ვგონებ გვიანლა არი.

ა რ ბ ე ნ ი ნ ი (დგება, თვალებს უგონოდ აცეცებს)

რა თქვით? ოჰ... ღონე აღარა მაქვს, თქმაც მემძიმება...

ისე მჭეროდა... საშინელი ეს დამცირობა...

ო, მომიტევე... ღმერთო... მე და შენდობის ღირსი?

(ხარხარებს)

მერე ვედრება? საყვედური... ცრემლები მისი?

მე კი შევუნდე? ჰა, მუხლს ვიყრი...

(დაიჩოქებს)

გთხოვთ განმიცხადოთ...

რომ აქ ლალატი და მზაკვრობა იყო უდავოდ...

ხომ მართალია? მსურს, გიბრძანებთ მას ბრალი დადოთ.

უცოდველია? იქ იყავით თქვენ მაშინ განა?

რად არ ჩახედეთ იქ, ჩემს სულში თუ რა ხდებოდა?

როგორც თქვენ შეგთხოვთ, ისიც ასე მევედრებოდა.

შეეცდი... მე შეეცდი, მერე რა ვქნა... ეს მითხრა მანაც.

მე ვუპასუხე — რომ ის ტყუის... ჰო, ვუთხარ ასე...

(წამოდგება.)

აი, გულახდით მსურს ავიხსნათ ეს ამოცანა...

(დუმილი.)

მე მკვლელი არ ვარ... აღიარე, მითხარი წამსვე...

(უცნობი დაფინებით უტყერის.)

რომ მე კი არა, შენა ხარ მკვლელი...

ჩემთან დღეს მაინც იყავი წრფელი...

ძვირფასო ძმავო ასე მწარედ რად ამატირე?

მე ხომ მიყვარდა... თვით სამოთხეს... ედემის ცასაც

არ დაეუთმობდი მე იმისი ცრემლის ერთ ცვარსა...

სანამ შემეძლო... მაგრამ... აი, მე გაპატიებს!

(უცნობს ჰგვარდზე მიეყრდნობა და ქვითინებს.)

უ ც ნ ო ბ ი (უხეშად მოიშორებს)

გონს მოდი... გესმის?

(თავადს)

გავიყვანოთ აქედან ჩქარა...

აღბათ ჰაერზე მობრუნდება.

(ხელში ხელს ჩასჭიდებს.)

არბენინ!

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

არა...

ჩვენ აღარასდროს არ შევხვდებით... ერთი მაჩვენეთ...

წავიდეთ... ჩქარა... აქეთ... აქეთ...

(მათ ხელიდან გაუხსლტა და გარბის იქით, სადაც ცხელი ასვენია.)

თ ა ვ ა დ ი

ო, შეაჩერეთ!

უ ც ნ ო ბ ი

ვხედავ ამ ზვიად გონებასაც, დღეს ღონემიხდილს...

ა რ ბ ე ნ ი ნ ი

(დაბრუნდა. შემზარავად კენესის.)

შეხედეთ!.. ნახეთ!.. რა გულქვა ხარ! ახლა ხომ მიხვდი!

(ძირს დავარდება, იატაკზეა ნახევრად მწოლარე, თვალგაშტერებული,
თავადი და უცნობი დასცქერაინ.)

უ ც ნ ო ბ ი

დიდი ხანია მსურდა მკაცრად მეძია შური...
ჰა, გადევნადე — საკმაოა ეს შურისგება.

თ ა ვ ა დ ი

გაგიჟდა. იგი ნეტარია... მე უბედური...

არ დამიბრუნდეს აწ სიმშვიდე და არც ღირსება.

ფ ა რ დ ა